გაზეთი ბოევრია, „ვერსია" ერთი

# ვერსია

ფასი 50 თეთრი

№1 (1027) 9 - 11 იანვარი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

## გილოცავთ შობა-ახალ წელს!

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების გამო გთხოვთ, გაუფრთხილდეთ დღევანდელ ნომერს

# საშობაო ეპისტოლე

გვ. 6-7

## სასწაული, რომელიც წირვა-ლოცვის დროს უხილავად აღესრულება

## ტერაქტი სიტყვის თავისუფლების წინააღმდეგ

გვ. 3

„ვერსია" სოლიდარობას უცხადებს ფრანგ ხალხს და თანაუგრძნობს დაღუპულთა ოჯახებს

## პოლიტიკური თამაშები მეოთხე ხელისუფლებისთვის

გვ. 4

რა ხდება ქართულ მედიასივრცეში, ქმნის თუ არა მიხეილ ხუბუტია ახალ არხს და რა გეგმები აქვს GDS-სთან დაკავშირებით ბიძინა ივანიშვილს

## გიორგი ოვაშვილი ზვიად გამსახურდიაზე ფილმს გადაიღებს

გვ. 2

„ეს იქნება ადამიანის ისტორია, რომელიც კარგავს ყველაფერს"

## ალსარება ზონაზე

გვ. 8

როგორ არჩევდნენ პატიმრებს ზიარებისთვის და რატომ აჩუქა მსჯავრდებულმა ოფიცერს იერუსალიმიდან ჩამოტანილი სანთელი

პატიმრის დღიური

## კახი კალაძემ სამტრედიის მოსახლეობას შობის დღესასწაული კონცერტით მიულოცა

ლევან სეფისკვერაძე — შავი სათვალით გვ. 8

# გიორგი ოვაშვილი ზვიად გამსახურდიაზე ფილმს გადაიღებს

## „ეს იქნება ადამიანის ისტორია, რომელიც კარგავს ყველაფერს“

თამარ ლომსაძე
568-34-44-94

**როდესაც „გაღმა ნაპირმა“ ესპანეთში გრან-პრი მოიპოვა, „ვერსიასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში განაცხადა, ამხელა წარმატებას არ მოველოდი, მხოლოდ ჩემს საქმეს ვაკეთებდი დანარჩენი კი ამაოებააო... ახლახან მისი ფილმი „სიმინდის კუნძული“ ოსკარზე წარსადგენ 9 ნომინანტს შორის მოხვდა და ამხელა წარმატების მიუხედავად, მაინც ჩვეული თავმდაბლობით ამბობს, რომ ფილმი, მასზე მუშაობის დასრულების შემდეგ, თავისი ცხოვრებით ცხოვრობს. 15 იანვარს ოსკარზე წარსადგენი ხუთი უცხოენოვანი ფილმი უნდა დასახელდეს. იმედია, საქართველო ამ ბედნიერ ხუთეულში აღმოჩნდება, რეჟისორი გიორგი ოვაშვილი კი „ვერსიასთან“ აცხადებს, რომ არანაირი მოლოდინი არასოდეს გააჩნია...**

— არასოდეს არაფერს მოველი ძალიან მარტივი მიზეზის გამო — მხოლოდ ერთზე ვფიქრობ — დავამთავრო ფილმზე მუშაობა. მერე კი ის ფილმი რეალურად მე აღარ მეკუთვნის — დამოუკიდებელი ცხოვრებით ცხოვრობს.

**— თუმცა წარმატება მაინც არ უნდა ყოფილიყო მოულოდნელი მარტივი მიზეზის გამო — „გაღმა ნაპირსაც“ დიდი აღიარება ჰქონდა...**

— უცხოენოვანი ფილმების კატეგორიაში ოსკარზე 83 ქვეყანა იყო წარმოდგენილი და ნამდვილად მოულოდნელი იყო ცხრა ნომინანტს შორის მოხვედრა... სიმართლე გითხრათ, ისეთი ფილმები დარჩა კონკურსგარეშე, წარმოდგენაც კი შეუძლებელია.

**— გიორგი, გამუდმებით გვესმის, რომ საქართველოში რთულია კარგი ფილმის გადაღება, შენ როგორ ახერხებ ამას?**

— არ ვფიქრობ, რომ კარგი ფილმის გადაღებას განსაკუთრებული პირობები სჭირდება... ქვეყნის განვითარება ფილმის ხარისხთან არაა კავშირში და არ ვეთანხმები მოსაზრებას, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში უფრო კარგი ფილმების გადაღება შეიძლება, ვიდრე, ვთქვათ, ზიმბამბვეში...

**— მატერიალურ ფაქტორს რატომ გამორიცხავ?**

— კი ბატონო, ეს ფაქტორი არსებობს, თუმცა ბევრი ფული თუ გაქვს, ეს არ ნიშნავს, რომ მაინცდამაინც შედეგს გადაიღებ.

**— როგორ ვიცი, ზვიად გამსახურდიაზეც აპირებ ფილმის გადაღებას და ეს ერთგვარი ტრილოგიის დასასრული იქნება...**

— ამაზე საუბარი ნამდვილად არის, თუმცა, ჯერჯერობით, კონკრეტული ამ მიმართულებით არაფერი ხდება. ვნახოთ, რა იქნება... ჯერ ეს თემა იმ დონეზე არ არის, მასზე ვისაუბრო.

**— როგორც რეჟისორი რთული ამოცანის წინაშე დგახარ... თბილისის ომი, პრეზიდენტის გარდაცვალება... ის თემებია, რომელზეც ერთგვაროვანი პასუხი არ არსებობს. როგორ მოახერხებ მათ გადაწყვეტას ისე, რომ ისტორიული ფაქტები არ დამახინჯდეს?**

— ჩემი მიზანი არ არის დოკუმენტური ან ბიოგრაფიული ფილმის გადაღება... ეს იქნება მხატვრული ნაწარმოები, რომელშიც გამოვიყენებ რეალურ ამბებს და არა მაინცდამაინც სახელდებული ადამიანის ისტორიას... პარალელებს აუცილებლად გავავლებ, მაგრამ იქ არ იქნება პირდაპირი მინიშნებები.

**— როგორ აუქცევ გვერდს საქართველოს უახლეს ისტორიას, თბილისის ომს?..**

— არ იქნება გადმოცემული ცხოვრების დასასრული... არ ვაპირებ ძიებას, რა მოხდა რეალურად, თუმცა ეს საკითხები ჩემთვისაც ისეთივე საინტერესოა, როგორც საქართველოს თითოეული მოქალაქისთვის... მიუხედავად ამისა, მათი წინ წამოწევა ფილმის მიზანი არ იქნება — ეს იქნება ადამიანის ისტორია, რომელიც კარგავს ყველაფერს და რჩება საკუთარ თავთან მარტო... ეს თემა ფსიქოლოგიური კუთხით უფრო მაინტერესებს, ვიდრე პოლიტიკურით.

**— მანამდე კი 15 იანვარია, როცა 9 ფილმს შორის 5 ნომინანტი დასახელდება ოსკარზე...**

— ...თუმცა მე, ისევ და ისევ, არანაირი იმედი არ მაქვს, ეს თემა ჩემში უკვე დავასრულე, „სიმინდის კუნძულმა“ ბევრს მიაღწია და ჩემთვის აბსოლუტურად წარმოუდგენელი რამ მოხდა. ასე რომ, არანაირი ილუზიები არ მაქვს.

## ყაზბეგში ჩარჩენილი რუსეთის მოქალაქეები რუსეთის ტერიტორიაზე გადაიყვანეს

რუსთავის მოქალაქეების მშვიდობიანად გადაყვანის გარდა, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელ სიონში მცხოვრები მცირეწლოვანი გაბრიელ კობაიძისთვის აუცილებელი მედიკამენტი შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა მის ოჯახს უკვე მიაწოდეს.

დიდთოვლობის გამო ამ დროისთვის შექმნილია საგანგებო საკოორდინაციო შტაბი გუდაურსა და სტეფანწმინდაში. გუდაურში იმყოფება უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს მდივანი დავით სუჯაშვილი. გაწმენდილია გზა გუდაურის მიმართულებით. ცალმხრივი მოძრაობა აღდგა მლეთა-გუდაურის მონაკვეთზე.

სინოპტიკოსების პროგნოზით, საქართველოში უახლოეს დღეებში თოვლი და ყინვა შენარჩუნდება. გარემოს ეროვნული სააგენტოს გრძელვადიანი პროგნოზების ბიუროს უფროსის მოადგილის, ნინო წვერავას განცხადებით, დასავლეთ საქართველოს 8 იანვრის ღამიდან თოვს. ასევე, თოვლია საქართველოს მთიან და მაღალმთიან რაიონებში. კერძოდ, მესტიაში, ფასანაურში, თიანეთში, გუდაურში, რიკოთზე, შოვში, ამბროლაურში, ბაკურიანში, თოვს გორშიც.

წვერავას თქმით, თოვა დაიწყო კოლხეთის დაბლობზეც. თოვლის ნალექი მოსალოდნელია 9 იანვარსაც დასავლეთ საქართველოს უმეტეს და აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში.

10 იანვარს საქართველოში უნალექო ამინდი იქნება. თუმცა, ყინვა გაძლიერდება. კერძოდ, 10 იანვრის ღამეს კოლხეთის დაბლობზე ღამით მოსალოდნელია -5 გრადუსი, ზოგან -7 გრადუსი ყინვა. მთაში -13 და მაღალმთაში -18 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობში 10 იანვარს ღამით იქნება -7 გრადუსი ყინვა; შიდა ქართლში (ხაშური-გორი) -13; მთაში -15; მაღალმთაში -22 გრადუსი ყინვა.

საქართველოს ზამთრის კურორტებზე თოვლის ნალექი 10 იანვრამდე შენარჩუნდება.

11 იანვარს დასავლეთ საქართველოში ამინდი კვლავ შეიცვლება და არამდგრადი ამინდი ქვეყნის ტერიტორიაზე 14 იანვრის ჩათვლით გაგრძელდება.

*„ვერსიანიუსი“*

ვერსიანიუსი

## შსს-ს თანამშრომლებმა თოვლში ჩარჩენილი ყველა მოქალაქე უსაფრთხო ადგილზე გამოიყვანეს

ნინოწმინდის რაიონში, საქართველო-სომხეთის დამაკავშირებელ ცენტრალურ მაგისტრალზე, მეტეოროლოგიური პირობების გაუარესებისთანავე, მობილიზებულნი იყვნენ ნინოწმინდის და ახალქალაქის რაიონული სამმართველოს თანამშრომლები. სამართალდამცველებმა თოვლში დარჩენილი 200-ზე მეტი მოქალაქე უსაფრთხო ადგილზე გადაიყვანეს. მათი ნაწილი პოლიციელთა ოჯახებში და პოლიციის სამმართველოებში მოათავსეს და პირველადი დახმარება აღმოუჩინეს.

შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის სამაშველო ჯგუფების მიერ ნინოწმინდის რაიონში, საქართველო-სომხეთის დამაკავშირებელ ცენტრალურ მაგისტრალზე, დიდთოვლობის და ქარბუქის გამო გზაში ჩარჩენილი ავტომობილების და მოქალაქეების გამოსაყვანად სამაშველო ოპერაციები მთელი ღამის განმავლობაში მიმდინარეობდა.

შექმნილი რთული ვითარების გამო, ადგილზე ნინოწმინდის სახანძრო-სამაშველო სამსახურის სამაშველო ჯგუფების გარდა მობილიზებულ იქნა ახალქალაქის, ასპინძის და სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სამაშველო ჯგუფები, ხოლო თბილისიდან დამატებით გაიგზავნა ხუთი ჯგუფი სპეციალური მაღალი გამავლობის ავტომანქანებით.

შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის კოორდინაციით ჩატარებული სამაშველო ოპერაციის შედეგად, მაშველებმა 100-მდე ავტომანქანა გამოიყვანეს თოვლიდან და გადაიყვანეს უსაფრთხო ადგილას.

სამაშველო ჯგუფები ამ დრომდე განაგრძობენ სამუშაოებს, რასაც ართულებს რთული მეტეოროლოგიური პირობები.

*„ვერსიანიუსი“*

## ბრიტანულმა „ტელეგრაფმა“ საქართველო მსოფლიოს ათ ექსტრემალურ მიმართულებას შორის დაასახელა

მსოფლიოს 10 ექსტრემალური მიმართულება, რომელთა შესახებაც ალბათ არაფერი გსმენიათ, ამ სიაში კი საქართველო მეხუთე ადგილს იკავებს.

„ტელეგრაფის“ სტატიის ავტორი კახეთის ღვინის მეურნეობასა და შიდა ქართლში მდებარე უფლისციხეს აღწერს: თქვენ ალბათ არასოდეს გსმენიათ კახეთის შესახებ, საქართველოს ამ რეგიონში გარანტირებულად ისიამოვნებთ ყველაზე ცნობილი გამოგონებით, რასაც ღვინო ჰქვია. ქართველები ღვინოს 8 ათასი წელია ამზადებენ. ღვინის ტრადიციული ტექნოლოგიით დამზადება ბოლო პერიოდში აღდგა. ქვეყნის საუკეთესო ღვინოებს შორისაა: The Fat Duck, Hibiscus da Nobu...

**„...იყალთოს მონასტერში, მართლმადიდებელი სასულიერო პირები ღვინის კულტურის შესახებ დეტალურ ჩანაწერებს ინახავენ. მონასტრის ტერიტორიაზე მდებარეობს ზიარებისათვის განკუთვნილი ღვინის მარანი, ასევე ვენახები და ლაგვინარის მარნები...“**

სტატიაში აღწერილია უფლისციხე, რომელიც თბილისიდან 74 კმ-ში მდებარეობს:

**„...უფლისციხე 3000 წლოვანი კლდოვანი ქალაქია, სადაც სამრეწველო მასშტაბის ღვინის საწნახელები მდებარეობს“.**

*„პირველი“*

## გემ „გულფროის“ ბორტზე მყოფი ეკიპაჟის ოთხი ქართველი წევრი ევაკუირებულია

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობით, ისინი არ დაშავებულან, ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და საფრთხე არ ემუქრებათ. ეკიპაჟის წევრები სამსუნში, ერთ-ერთ სასტუმროში იმყოფებიან.

2015 წლის 8 იანვარს, ბრიტანული დროშის ქვეშ მცურავმა გემმა „გულფროი“, თურქეთის ტერიტორიულ წყლებში, სამსუნის ნავსადგურის რეიდზე განიცადა კატასტროფა და შეეჯახა რიფს მარცხენა ბორტით. გემზე იმყოფებოდა ეკიპაჟის ათი წევრი, მათ შორის საქართველოს ოთხი მოქალაქე.

*„პირველი“*

# ტერაქტი სიტყვის თავისუფლების წინააღმდეგ

ნინო ლურსმანაშვილი
593-51-52-04

## საფრანგეთში სამდღიანი გლოვა გამოცხადდა, Charlie Hebdo-ზე თავდამსხმელები დააპატიმრეს, მუსულმანები წირვაზე ტერაქტის დაგმობას ითხოვენ

**საფრანგეთში სამდღიანი გლოვა გამოცხადდა. „ეს ტერაქტია, არა კონკრეტული რედაქციის, არამედ ზოგადად, ჟურნალისტიკის, თავისუფალი სიტყვის, დემოკრატიის წინააღმდეგ“, — საერთაშორისო ექსპერტების შეფასებების პათოსი დაახლოებით ასეთია. Charlie Hebdo ტერორისტების სამიზნედ 2011 წელსაც იქცა, როცა ჟურნალმა წინასწარმეტყველ მუჰამედის კარიკატურები გამოაქვეყნა. ამჯერად კი, „ბიბისის“ ინფორმაციით, ტერორისტები, ჟურნალის წარმომადგენლების მიერ, „ტვიტერზე“ „ისლამური სახელმწიფოს“ ლიდერის აბუ ბაკრ ალ-ბაღდადის კარიკატურის გამოქვეყნებამ გააღიზიანა.**

**რატომ? — პარიზში სატირული ჟურნალის Charlie Hebdo-ს რედაქციაში მომხდარი ტერაქტის შემდეგ, ეს კითხვა, მსოფლიო მასშტაბით, ამ ტრაგედიისადმი მიძღვნილ თითქმის ყველა ფოტოსა თუ კარიკატურას ერთვის. რატომ იმეტებენ სიტყვის თავისუფლებისთვის მებრძოლ ჟურნალისტებს სასიკვდილოდ და რატომ უწევთ მეოთხე ხელისუფლების წარმომადგენლებს პროფესიული მოვალეობის შესრულება არაუსაფრთხო გარემოში? — ეს კითხვები წლების განმავლობაში თითქოს რიტორიკულად იქცა, მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. მათ შორის საქართველოშიც. ჟურნალისტების წინააღმდეგ ბრძოლა, სამწუხაროდ, ქართული ისტორიისა თუ დღევანდელობისთვისაც არაა უცხო. პრინციპში, ბრძოლის მეთოდებსა და ფორმებს რა მნიშვნელობა აქვს. მეოთხე ხელისუფლების წარმომადგენლები, სიტყვის თავისუფლების დასაცავად და სიმართლის სააშკარაოზე გამოსატანად, ჩვენს ქვეყანაშიც ყველა დროში არ ზოგავდნენ სიცოცხლეს და პროფესიული მოვალეობის შესრულებაც არასოდეს იყო ადვილი. არც 90-იან წლებში და არც შემდეგ, სხვადასხვა ხელისუფლებების პირობებში. ფრანსუა ოლანდმა 7 იანვარს დაღუპულ ჟურნალისტებს საფრანგეთის გმირები უწოდა. საქართველოსაც ჰყავს ასეთი გმირები... დღეს მსოფლიო ტერორიზმს გმობს და სიტყვის თავისუფლებაზე აპელირებს. იმედია, დემოკრატიის აღმშენებლობისა თუ მშენებლობის გზაზე მყოფ საქართველოშიც აღარ მოუწევთ ჟურნალისტებს სიმართლის სათქმელად ქარტეხილების გადალახვა, ომში ჩაბმა და სიცოცხლის გაღება; იმედია, მომავალში მეოთხე ხელისუფლების წარმომადგენლების გმირობა მხოლოდ ობიექტური ინფორმაციის მოპოვება-გაშუქებით შემოიფარგლება.**

**„მირჩევნია, ფეხზე მდგომი მოვკვდე, ვიდრე მუხლებზე ვიდგე და ისე ვიცოცხლო“,** — ეს სიტყვები ჟურნალ Charlie Hebdo-ს რედაქტორს, სტეფან შარბონიეს ეკუთვნის, რომელიც 7 იანვრის თავდასხმის დროს დაიღუპა. „ვერსია“ უსამძიმრებს ამ ტერაქტის და ზოგადად, პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული ჟურნალისტების ოჯახებს და სოლიდარობას უცხადებს მეოთხე ხელისუფლების ყველა წარმომადგენელს, ვისთვისაც მუხლებზე ხოხვაზე მნიშვნელოვანი, სიმართლის თქმაა, თუნდაც სიცოცხლის ფასად.

7 იანვარს, პარიზში, ჟურნალ Charlie Hebdo-ს რედაქციაში რამდენიმე შეიარაღებული მამაკაცი შეიჭრა და ცეცხლი გახსნა, თავდაპირველად, გავრცელდა ინფორმაცია, რომ ისინი, სავარაუდოდ, სამნი იყვნენ. ჟურნალისტებზე თავდასხმის შედეგად 12 ადამიანი დაიღუპა, 10 დაიჭრა, ოთხი, კრიტიკულ მდგომარეობაშია. დაღუპულებს შორის ორი პოლიციელი და ჟურნალის 9 თანამშრომელია.

7 იანვარს თავდამსხმელებმა მიმალვა მოახერხეს. საფრანგეთის პოლიციამ მათზე ძებნა გამოაცხადა. შემთხვევის ადგილას მისულმა საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდმა კი მომხდარი ტერაქტად შეაფასა. „არც ერთ ტერორისტულ აქტს არ შეუძლია პრესის თავისუფლების დახშობა. ჩვენ ერთიანი ქვეყანა ვართ, რომელსაც რეაგირება და გაერთიანება შეუძლია“, — ასეთი იყო, საფრანგეთის პირველი პირის განწყობა და პირველი რეაქცია.

მოგვიანებით, ინტერნეტში მოვლენების ამსახველი ვიდეომასალა გავრცელდა, სადაც ისმის თავდამსხმელების შეძახილი: „ალაჰ აკბარ“ — „შური ვიძიეთ წინასწარმეტყველისთვის“. ვიდეომასალის გავრცელების შემდეგ, რიგმა წამყვანმა მედიასაშუალებებმა, წინასწარმეტყველ მუჰამედის კარიკატურები დაბეჭდეს. ამ ინიციატივის ავტორები კი ისეთი ამერიკული მედიასაშუალებები აღმოჩნდნენ, როგორიცაა Business Insider და Huffington Post. Daily Beast-ის საიტზე კი, 16 სკანდალური კარიკატურა გამოქვეყნდა. კარიკატურები დაიბეჭდა გერმანულ, დანიურ, ბრიტანულ გამოცემებშიც.

7 იანვარსვე, პარიზის ქუჩებში უამრავი ადამიანი გამოვიდა — ჟურნალისტებს სოლიდარობა გამოუცხადეს, დაგმეს ტერორიზმი, შუაღამისას ანთებული უამრავი სანთლით კი დაღუპულების სულებს პატივი მიაგეს.

მეორე დღეს უკვე ცნობილი გახდა ტერაქტში სამი მონაწილის ვინაობა — უცხოური მედიის ინფორმაციით, მთავარი ეჭვმიტანილები 1980 წელს და 1982 წელს დაბადებული ძმები კუაშები და 1996 წელს დაბადებული ჰამიდ მურადია. ითქვა ისიც, თითქოს 18 წლის მურადი პოლიციას ჩაბარდა. ეს ინფორმაცია თავიდან არ დასტურდებოდა, სამაგიეროდ, საფრანგეთის სამართალდამცავები ამტკიცებდნენ, ეჭვმიტანილების ადგილსამყოფელი ვიცითო. ამ განცხადებიდან რამდენიმე საათში, საფრანგეთის პოლიციამ Charlie Hebdo-ზე განხორციელებულ ტერაქტში ეჭვმიტანილი რამდენიმე პირი დააკავა, თუმცა საფრანგეთის პრემიერ-მინისტრის, მანუელ ვალსის განცხადებით, მათ შორის არ იყვნენ მთავარი ეჭვმიტანილები — ძმები შერიფ და საიდ კუაშები. თუმცა ისინი საფრანგეთის ჩრდილოეთით, ერთ-ერთი ბენზინგასამართი სადგურის თანამშრომელმა ამოიცნო და სამართალდამცავებს შეატყობინა. გავრცელდა ინ ფორმაცია, რომ ისინი შეიარაღებულები იყვნენ. დასაკავებლად საფრანგეთის ჩრდილოეთით სპეცოპერაცია ჩატარდა. გაირკვა ისიც, რომ დაკავებულებს შორისაა ძმები კუაშების დაც და მისი ქმარიც, ასევე საიდ კუაშის მეუღლე.

მიუხედავად ამისა, საფრანგეთში, გამოსვლები არ ცხრება, რიგ ადგილებში დაპირისპირება და აფეთქებებიც კი მოხდა. მაგალითად, პარიზის მახლობლად, უცნობმა მამაკაცმა ორ პოლიციელს გაუხსნა ცეცხლი და ერთ-ერთი მძიმედ დაჭრა. პოლიციელი ქალბატონის გადარჩენა ვერ მოხერხდა. აღსანიშნავია, რომ საფრანგეთის პოლიცია აღნიშნულს რედაქციაში მომხდარ ტერაქტს არ უკავშირებს, რამაც ხალხში, ცოტა არ იყოს, გაურკვევლობა გამოიწვია. საფრანგეთის აღმოსავლეთით, ვილფრანშ-სიურ-სონში, მეჩეთთან ახლოს, ერთ-ერთ რესტორანში აფეთქება მოხდა. მომხდარის დეტალები უცნობია. პირველადი ინფორმაციით, სერიოზულად არავინ დაშავებულა. საფრანგეთში მოღვაწე მუსულმანებმა კი იმამებს მოუწოდეს, 9 იანვარს ლოცვისას ტერორიზმი დაგმონ. საფრანგეთსა და მონაკოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის, ეკატერინე სირაძე-დელონეს ინფორმაციით, საფრანგეთში საკმაოდ რთული ვითარებაა: „პარიზში დიდი ხანია ასეთი ტერაქტი არ მომხდარა. ამას ემატება ისიც, რომ საფრანგეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მოუწიათ რამდენიმე ტერაქტის თავიდან აცილება. ღიადაა საუბარი, რომ საფრანგეთი შევიდა ომში. გამოძიება მიმდინარეობს. ყველა ცდილობს, ზედმეტი განცხადებებისგან თავი შეიკავოს, რათა საგამოძიებო მოქმედებები ყოველგვარი პრობლემის გარეშე წარიმართოს“.

პარიზში მომხდარ ტერაქტს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ლიდერები და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც გამოეხმაურნენ. „ამ ტრაგედიამ შეძრა მსოფლიო. ვუერთდებით საერთო აღშფოთებას და მწუხარებას“, — ამგვარად დაგმო მსოფლიო თანამეგობრობამ Charlie Hebdo-ის რედაქციაზე მომხდარი თავდასხმა. თეთრი სახლის პრესმდივნის განცხადებით, აშშ მზადაა, საფრანგეთს თავდასხმის გამოძიებაში დაეხმაროს. ჯოშ ერნესტმა დაღუპულთა ოჯახებს სამძიმარი გამოუცხადა; გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა განაცხადა, რომ ეს იყო შოკისმომგვრელი შემთხვევა: „ეს საშინელი ტერაქტი არა მხოლოდ საფრანგეთის მოქალაქეებსა და საფრანგეთის უსაფრთხოებაზე თავდასხმაა, ესაა თავისუფალ სიტყვასა და პრესაზე თავდასხმა, რომლის გამართლება შეუძლებელია“. დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა დევიდ კემერონმა პარლამენტში გამოსვლისას აღნიშნა, იმის მიუხედავად, რომ დეტალები ბოლომდე ცნობილი არ არის, დიდი ბრიტანეთი სიტყვის თავისუფლებასა და დემოკრატიას მხარს უჭერს და საფრანგეთთან ერთად ტერორიზმის ყველანაირი ფორმის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთიანია; ესპანეთის პრემიერ-მინისტრი მარიანო რახოი მომხდარს გმობს, აცხადებს, რომ „ესპანეთი საფრანგეთის გვერდითაა“ და დაღუპულთა ოჯახებს უთანაგრძნობს; ნატო-ს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი რედაქციაზე განხორციელებულ თავდასხმას ბარბაროსულ აქტად და თავისუფალ პრესაზე აღმაშფოთებელ თავდასხმად აფასებს.

საქართველოს პრეზიდენტმა **გიორგი მარგველაშვილმა** ფრანგ ხალხს თანადგომა გამოუცხადა: **„საქართველო გმობს ტერორიზმის ნებისმიერ გამოვლინებას და განაგრძობს ბრძოლას თანამედროვეობის ამ ერთ-ერთი უდიდესი საფრთხის წინააღმდეგ. ამ განსაცდელის ჟამს ჩვენ მტკიცე თანადგომას ვუცხადებთ საფრანგეთის რესპუბლიკის ხელისუფლებასა და ფრანგ ხალხს. ჩვენ ვართ თქვენს გვერდით, რათა დავიცვათ ჩვენი საერთო კეთილდღეობა. ქართველი და ფრანგი სამხედროები გვერდიგვერდ დგანან მსოფლიოს ცხელ წერტილებში, რათა უზრუნველვყოთ საერთო მშვიდობა და უსაფრთხო მომავალი“.**

ქართველი ხალხის სახელით, ტერაქტის მსხვერპლთა ოჯახებს გულწრფელი თანაგრძნობა გამოუცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, **ირაკლი ღარიბაშვილმა.** მისი თქმით, ეს საზარელი ტერაქტი არა მხოლოდ ფრანგი ხალხის, არამედ თითოეული ჩვენგანის წინააღმდეგ იყო მიმართული: **„დიდი მწუხარებით შევიტყვე იმ უმძიმესი ტრაგედიის შესახებ, რომელიც ფრანგ ხალხს დაატყდა თავს. ტერორიზმს გამართლება არ შეიძლება მოეძებნოს. სიტყვისა და პრესის თავისუფლება ის უზენაესი უფლებაა, რომელიც ყველგან და ყოველთვის სათანადოდ უნდა იყოს დაცული. ამ მძიმე წუთებში ფრანგი ხალხის გვერდით ვდგავართ“.**

ვიცე-პრემიერმა **კახა კალაძემ** კი აღნიშნა, რომ ნებისმიერი ტერაქტი დასაგმობია და მისი ორგანიზატორები მკაცრად უნდა დაისაჯონ: **„თანამედროვე სამყაროში, სადაც უზენაესია ადამიანის სიტყვის და აღმსარებლობის თავისუფლება, სადაც ნებისმიერ საკითხისადმი შეუზღუდავია გამოხატვის თავისუფლება — ცალსახად დასაგმობია და უმკაცრესად დასასჯელი ნებისმიერი ტერორისტული აქტი, იქნება ეს მიმართული სხვა შეხედულებების, სარწმუნოების თუ ეთნიკური წარმომავლობის ადამიანების მიმართ“.**

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ საფრანგეთის მთავრობასა და ხალხს სოლიდარობა გამოუცხადა და სატირული ჟურნალის რედაქციაზე განხორციელებულ თავდასხმას, პრესისა და სიტყვის თავისუფლების წინააღმდეგ განხორციელებული ბარბაროსული აქტი უწოდა.

# პოლიტიკური თამაშები მეოთხე ხელისუფლებისთვის

## რა ხდება ქართულ მედიასივრცეში, ქმნის თუ არა მიხეილ ხუბუტია ახალ არხს „რუსთავი 2“-ის საპირწონედ და რა გეგმები აქვს GDS-სთან დაკავშირებით ბიძინა ივანიშვილს

ნინო კომახიძე
599-95-33-16

**მედიისთვის 2014 ისეთივე წელი იყო, როგორც მთელი ქვეყნისთვის — დაძაბული, მოულოდნელობებითა და იმედგაცრუებით სავსე. იყო სასიკეთო ცვლილებებიც, უკანგადადგმული ნაბიჯებიც, გახსნილ-დახურული ტელევიზიები, პოლიტიკაში წასული და საჯარო სექტორიდან მასმედიაში მობრუნებული ჟურნალისტები, ბიზნესსშეწირული პროფესიონალები და სიახლეებით დახუნძლული შემოდგომა — სექტემბრიდან მოყოლებული, მაუწყებლობა სამმა არხმა შეწყვიტა: ბათუმში TV4 დაიხურა, მერე, ე.წ. რეორგანიზაციის გამო, TV 3-იც დახურეს, გახსნამდე დაიხურა სპორტული არხი TVS. მანამდე, გაუქმდა აჭარის ტელევიზიის თბილისის ბიუროც... ამ „ვარსკვლავურ ომებში“ უდავო ჩემპიონი მაინც „მაესტრო“ იყო, რომელმაც მაყურებელს თავი, მინიმუმ, არხზე მიმდინარე მუდმივი შიდაბრძოლით დაამახსოვრა. როგორია ახალი ტელერეიტინგები, რატომ დაკარგა ძველი გავლენა „რუსთავი 2“-მა, რა ელის საზოგადოებრივ მაუწყებელს, ვინ ჩაიგდო ხელში „მაესტრო“, რატომ იხსნება პრორუსული TV8 და რა შეიცვალა მედიასივრცეში ცნობილი ჟურნალისტების გადეპუტატებით — წლის შეჯამებაში „ვერსიას“ პუბლიცისტი და ერთ-ერთი გადაცემის პროდიუსერი GDS-ზე, ვასილ მაღლაფერიძე დაეხმარა.**

### ღიღი აფერა პატარა „მაესტროზე“

ორადგახლეჩილ არხზე მოვლენები, რეალურად, ეროსი კინწმარიშვილის ცხედრის პოვნის შემდეგ დაიძაბა. კინწმარიშვილის გარდაცვალებისთანავე, მოსკოვიდან თბილისში „მაესტროს“ ოდიოზური მფლობელი, ბიზნესმენი კოტე გოგელია ჩამოვიდა და ყველაფერი თავის გემოზე გადაანყო — სატელევიზიო ბადე, ჟურნალისტთა კორპუსი, მიმართულება. მისი სახელი ხან რუსულ ინტერესებთან დააკავშირეს, ხან ნაციონალ კეზერაშვილთან, ხანაც რუსულ „გაზპრომთან“, თუმცა ბოლოს ყველა ერთ აზრამდე მივიდა — გაკოტრებული „მაესტროს“ თავიდან მოშორება სურს და აღარც ხელფასებს იხდისო. ამასობაში, „მაესტრო“ ვახო სანაიამ, თეონა გეგელიამ, დიანა ტრაპაიძემ დატოვეს და ეს მოგუდული შიდაკამათი ცხარე დებატებში გადაიზარდა. საქმე იქამდე მივიდა, ყველა დარჩენილი ჟურნალისტი გამოყარეს. გოგელიამ კი „დარჩენილებს“ გამოუცხადა, პროქართული არხი ვხდებითო და რამდენიმე „პროქართული“ კადრიც დაამატა — კოკა ყანდიაშვილი, ვალერი კვარაცხელია, ნათია მიქიაშვილი... მეტიც, ხმა დაირხა, კიდევ ერთ „პროქართველს“, მიხეილ ხუბუტიას „მაესტროს“ დაფინანსება სურსო. თუმცა ხუბუტიას ამბიციებმა იმძლავრა და მან სხვა, „პროქართული“ ტელევიზიის გახსნა გადაწყვიტა. ამ ამბავს, სახელისუფლო დონეზე კახა კალაძე გამოეხმაურა. რესპუბლიკელებმა კი კარტი გახსნეს — თინა ხიდაშელმა განაცხადა, „მაესტროს“ გვართმევენო. მოგვიანებით, „ნამრთმევი“ **ლევან ბერძენიშვილმა** დააკონკრეტა: **„თურმე, „მაესტრო“ შურს იძიებს ყველაზე, ვისაც ევროპასთან ასოცირება გაუხარდა... პუტინის ტელევიზია გახსნან, ბატონი გოგელიას იდეოლოგია ჩემთვის დიდ საიდუმლოს არ წარმოადგენს“.** ამას ჟურნალისტ **ელისო კილაძის** განცხადება დაერთო, ქვეყანაში დაბრუნებული გოგელია თავისი ბიზნესების ლობირებას ცდილობს, საქმე საქართველოში რუსული გაზის შემოტანას ეხება. იგი ფეესბე-სთან დაახლოებული პირია და სწორედ ის იყო ერთ-ერთი გამტარი ფეესბე-ს ფინანსებისა ქართულ პარტიაშიო. „ქართული პარტიიდან“ სოზარ სუბარი დღეს მინისტრია, კოკა გუნცაძე რკინიგზის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეა, მათი მეგობარი ეკა ბესელია პარლამენტშია, პარტიის ლიდერი ირაკლი ოქრუაშვილი კი, შეწყალებულ-ნაპატიები, საფრანგეთში ისვენებს. ძმები გაჩეჩილაძეები ვითარებას კარგა ხანია, აგარაკზე გაერიდნენ, თუმცა ერთი „უცნობი“ წილი მათაც აქვთ „მაესტროზე“. „სასტავს“ მარტო გარდაცვლილი კინწმარიშვილი აკლია, რომელიც ამ „სასტავის“ წევრი, პრინციპში არც არასდროს ყოფილა. თუ **ვასილ მაღლაფერიძის** ალღოს დავუჯერებთ, ძვრებსა და ცვლილებებს არც ამ და არც სხვა არხებზე უნდა ველოდეთ, მარტივი მიზეზის გამო — „გადამტრიალებელი“ ჟურნალისტთა კორპუსი საქართველოში, უბრალოდ, არ არსებობს: **„მაესტრო“ ვითომ პრორუსული უნდა გახდეს, რაღაც იდეოლოგია გაატაროს, არხზე საოცარი ძვრები დაიწყოსო, რომ ამბობენ, მეცინება — ნახევარი წლის მერე ვნახოთ, რამე თუ შეიცვლება. ჩემი აზრით, იგი ისევ ძველ ფორმატში გააგრძელებს საქმიანობას. რამდენადაც ქართულ ჟურნალისტურ კორპუსს ვიცნობ, სასწაულებს არ ველი — ამის რესურსი არ ჩანს; ასევე არა მგონია, კოკა ყანდიაშვილისა ისე ეშინოდეთ, მისი მისვლის გამო არხიდან 20 კაცი წამოსულიყო. „მაესტროს“ ჰყავს მფლობელები — თუ არხი კარგად იმუშავებს, შემოსავალი ექნება, რომელსაც მფლობელი ჩაიდებს ჯიბეში, თუ არადა, გაკოტრდება და დაიხურება. ამიტომ მარტივ კითხვას ვსვამ: თუ, ვთქვათ, კოკა ყანდიაშვილის მისვლით „მაესტროს“ მეტი რეკლამა ექნება, მერე ამით რა?! ჩვენთვის რა იცვლება? ეს ყველაფერი ერთი დიდი ინელეტელექტუალური აფერა მგონია — პრორუსები, მგონი, რუსეთშიც აღარ დარჩნენ! გინახავთ ვინმე, ვისაც ფული აქვს და პარიზის ნაცვლად, ჩელიაბინსკში მიდის?! საქართველოს პროდასავლური კურსი მირიან მეფის დროს განისაზღვრა და ამას ვერც არხი შეცვლის, ვერც ჟურნალისტი. ვის რა ჯანდაბა უნდა რუსეთში?!“**

### „გამარჯვებული ხალხის“ „დამარცხებული ტელევიზია“ TV8-ის წინააღმდეგ

მიუხედავად იმისა, რომ „კურიერის“ ყურება ყველა პოლიტიკურ ბანაკში უკვე ტრადიციაა, თურმე, როგორც ბოლო კვლევების შედეგებიდან ჩანს, „მონსტრი“ არხი, თუ „გამარჯვებული ხალხის ტელევიზია“ ძველი დიდების ინერციით მიდის და გავლენებსაც კარგავს. ნინო შუბლაძემ არხი ფართო წრეებისთვის დღემდე გაურკვეველი მიზეზებით დატოვა და ირაკლი მაისურაძემ ეკა ბესელიასთან გადაინაცვლა... **ვასილ მაღლაფერიძის** აზრით, „რუსთავის“ რეიტინგი გასართობ შოუებზეა მიბმული და პოლიტიკური ნაწილის პოპულარობა ეცემა: **„შალვა ნათელაშვილისადმი დიდი სიმპათიით არ გამოვირჩევი, მაგრამ ერთ ფრთიან ფრაზას ვერ დავუკარგავ — ჰილტერს რომ „რუსთავი 2“ ჰქონოდა, გერმანელებს დღემდე არ ეცოდინებოდათ, ომი რომ წააგესო. თუმცა „რუსთავს“ პოლიტიკურ ნაწილში, ჯერ კიდევ 2012 წელს ჯაბნიდა „მაესტროცა“ და „მეცხრე არხიც“. შესაბამისი კვლევაც არსებობს და შეგვიძლია, დოკუმენტი ვნახოთ. ხოლო თუ იმ ბოლო კვლევებს დავეყრდნობი, რაც მე მაქვს ნანახი, „რუსთავი 2“ ნომერპირველად გასართობი გადაცემების ხარჯზე რჩება, პოლიტიკურ გავლენებს კარგავს და ეს ჯერ კიდევ მაშინ მოხდა, როცა დიდი ბრძოლით, პატარა „მაესტრო“, როგორც ალტერნატიული აზრის გამოხატვის საშუალება, გაიხსნა. „რუსთავს“ დღეს ძველებური გავლენა რომ ჰქონდეს, ხელისუფლებაში ისევ ნაციონალები იქნებოდნენ“.** შეთქმულების თეორიაზე, რომ მიხეილ ხუბუტიას ახალი არხი TV 8, „მაესტროსთან“ ერთად, „რუსთავი 2“-ის საპირწონედ იქმნება, მაღლაფერიძეს ასეთი აზრი აქვს: **„ხუბუტია რომ არ დაბადებულიყო, გამოიგონებდნენ. ასეთი ტიპების არსებობით, ვიღაცები თავიანთ პროდასავლელობას ამტკიცებენ. ზოგადად, ხუბუტიას მიმდევარი კი არა, ისეთი ადამიანიც არ მინახავს, ვინც მას იცნობს. ჰოდა, რაც უნდა ბევრი ფული ჰქონდეს ასეთ კაცს და ეს ფული რაღაც გაურკვეველ ტელევიზიაში ჩადოს, საზოგადოებაზე გავლენას მაინც ვერ მოახდენს — ეს კაცი, როგორც უნდა ატრიალონ, მაინც ვერ იქცევა პოპულარულად. ხუბუტიას რაღაც TV 8 ისეთივე არაპოპულარული იქნება, როგორც თავის დროზე TV3 იყო“.**

### საზოგადოებრივი (პოლიტიკური) მაუწყებელი

არასდროს, არცერთი ხელისუფლების პირობებში, საზოგადოებრივ მაუწყებელს რეალური ცვლილებების ნიავი არ უბერავს. იცვლებოდა პოლიტიკური გავლენები ამ არხზე, ბორდი, ხელმძღვანელი, ლოგო, ჟურნალისტები, საზოგადოებრივი მაუწყებელი კი მაინც საზოგადოების ტკივილად რჩებოდა. ცოტა ხნის წინ, როცა პარლამენტმა სოციალური რეკლამის შესახებ კანონი მიიღო და კომერციული რეკლამის კანონის განხილვაზე გადავიდა, კერძო ტელევიზიების მფლობელთაგან ერთხმად წამოვიდა ლოგიკური პრეტენზია, ეს არხი სახელმწიფოს ბიუჯეტიდან არ უნდა ფინანსდებოდესო. ვინ „შეულოცა“ „საზმაუს“ და რა ტიპის ცვლილებებია მის გადასახალისებლად საჭირო — ამ კითხვას ვასილ მაღლაფერიძე ევროპულ სტანდარტებზე დაყრდნობით პასუხობს: **„ფაქტია, არხი ყურებადი არ არის, რაღაცნაირი მოუქნელია, არც მენეჯმენტი უვარგა და როგორც იტყვიან, არც მარჯვნივაა, არც მარცხნივ. არა მგონია, თავად კარგად ჰქონდეთ გაცნობიერებული, საერთოდ რას აკეთებენ. ბოლო კვლევების თანახმად, მას ყურებადობა, ფაქტობრივად, არ აქვს. არ ვამბობ, რომ ამ არხზე უნიჭო ადამიანები არიან და სხვაგან ნიჭიერები, უბრალოდ, მენეჯმენტი არ უვარგათ. ამის მიზეზი, პირველ რიგში, ისაა, რომ ეს არხი საზოგადოებრივი კი არა, პოლიტიკური მაუწყებელია. უფრო სწორად, პოლიტპარტიების მიერ დაკომპლექტებული მაუწყებელი. ორი ბორდი ხომ უკვე ჰყავს, ახლა სხვა „ძიძებიც“ გამოუჩნდებიან, არასამთავრობოებისა და სხვების სახით და შესაძლოა, არხზე მესამე და მეოთხე ბორდიც შეიქმნას, მაგრამ მაინც არაფერი ეშველება მანამ, სანამ ამ არხს ბორდს პოლიტიკური ძალები დააკომპლექტებენ. ეს ერთადერთი ე.წ. საზმაუწყებელია, სადაც ხალხი პოლიტიკური ძალთა შეთანხმებით ინიშნება. ევროპაში ბორდებს ეკლესია, უმაღლესი სასწავლებლები, საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები და მათ შორის, პარლამენტარებიც აკომპლექტებენ, აქ კი — მხოლოდ პარლამენტი. ამიტომაც ეს არხი თავიდანვე განწირულია პოლიტიკური ქვეტექსტებისთვის. თუ გაგრძელდა, ჯობს, მაუწყებელი ბიუჯეტიდან მართლა აღარ დაფინანსდეს. ვერც მისი გამოსწორების პერსპექტივას ვხედავ — იქნებიან თავ-თავიანთ პარტიებისკენ მაყურებელი ბორდის წევრები და მათზე ჩამოკიდებული დირექტორი. დღეს მაუწყებელი იმდენად არაყურებადია, არავის სურს, მისი საკუთრება იყოს“.**

### GDS და ბიძინა ივანიშვილის ტელეგეგმები

ბიძინა ივანიშვილი ახალი წლიდან მასმედიაში „დაბრუნდება“. გადაცემა „20 30“ ეთერში თებერვლიდან გავა, 20 საათსა და 30 წუთზე და როგორც მისი პროდიუსერი, ვასილ მაღლაფერიძე ამბობს, პირველი, მეორე, მესამე და საერთოდ, ხშირი სტუმარი სწორედ ბიძინა ივანიშვილი იქნება: **„ჯერ ერთი, საიდან ჩანს, რომ ივანიშვილს მედიაბაზარზე გავლენის მოპოვება სურს — მგონი, ამ კაცს, გამოჩენის დღიდან ერთი პრობლემა აქვს — როგორ მოიშოროს ეს გავლენა და რაში უნდა სჭირდებოდეს ამ გავლენის მოპოვება? ანდა, ხომ ჰქონდა მეცხრე არხი და მისი საშუალებით გავლენას ვერ მოიპოვებდა? თუ „მაესტროს“ ყიდვა უნდოდა, ვერ იყიდა? იქნებ, „რუსთავი 2“-ია ისეთი უმწიკვლო, რომ არ მიეყიდა?! აბსურდია ეს ყველაფერი და მაშინაც სწორი იყო ივანიშვილი, როცა ეს არხი დახურა. გადაცემის თარიღს კონკრეტულად ვერ დავკიდებთ, მაგრამ ალბათ, ეთერში თებერვლიდან გავა. ამისთვის ყოველდღიურად ვმუშაობთ. საზოგადოებას არ ვურჩევ ასეთ მოლოდინს, რაკი ეს გადაცემა გავა, აწი რაღა გვიჭირს, არაგვიც აღმა წავაო, მაგრამ, რა თქმა უნდა, თავსაც არ მოვიჭრით და ქართული ტელესივრცისთვის ერთი რიგიანი გადაცემა გამოვა. ეს იქნება საინფორმაციო ანალიტიკური გადაცემა, რომელსაც მაკა ცინცაძე, ირაკლი შამანაძე და გიორგი უძილაური წაიყვანენ“.**

ვერსიანიუსი

## შსს-მ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ჰეროინი ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს და სამტრედიის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1983 წელს დაბადებული დავით ს. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვის ბრალდებით სარფში დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას 2 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკი ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით 5,9036 გრ ჰეროინის შემცველი 12,3776 გრ ნარკოტიკული საშუალებაა. ბრალდებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

*„ვერსიანიუსი“*

# სასწაული, რომელიც წირვა-ლოცვის დროს უხილავად აღესრულება

ლაშა ცაიშვილი

ეკლესიურად მცხოვრები ადამიანებისთვის, მეტ-ნაკლებად კარგად არის ცნობილი წირვა-ლოცვის სულიერი დანიშნულება. წირვა-ლოცვის დროს ხდება მთელი სახარების აღსრულება, რადგან ყოველი მოძრაობა სიმბოლურად მაცხოვრის ამქვეყნიურ ყოფაზე მოგვითხრობს და რაც მთავარია, შეიწირება უსისხლო მსხვერპლი, რა დროსაც პური და ღვინო გარდაიქცევა უფლის ჭეშმარიტ ხორცად და სისხლად. თუმცა ზიარება გარეგნულად კვლავ პურისა და ღვინის შესახედაობისა და გემოსი რჩება, რათა ადამიანებს არ გაუჭირდეთ მისი მიღება. ზოგჯერ ადამიანთა ურწმუნოების სამხილებლად ხილულადაც მიუღია წმინდა ზიარებას ხორცისა და სისხლის სახე... საინტერსოა გამოცხადებები, სადაც ნაუწყებია საღმრთო ლიტურგიის დროს მიმდინარე სულიერი მოვლენები, რაც წმინდა მამათა ხილვებში მრავალგზის გაცხადებულა. მაგალითად, პურისა და ღვინის გარდაქცევის წინ უხილავთ ყვავილის სახით ტრაპეზზე გარდამომავალი ცეცხლი.ასევე სამკვეთლოში ტარიგს, რომელიც სიმბოლურად უფალს განასახიერებს ხშირად ჩვილი ბავშვის სახე მიუღია.მრავალი წმინდა მამა გვაუწყებს, რომ ლიტურგიაზე „რომელი ქერუბიმთას“ გალობის დროს ტაძარი უხილავად ანგელოზებით ივსება და ა.შ.

სწორედ წირვა-ლოცვაზე მიმდინარე ამგვარ სულიერ პროცესებს აღგვიწერს შემდეგი ხილვა, რომელიც ვფიქრობ, მკითხველს რწმენის განმტკიცებაში დაეხმარება და უფრო მეტად გააზრებინებს მათ წირვა-ლოცვის სულიერ დანიშნულებას.

**აღნიშნული სასწაული 1009 წელს იერუსალიმში მაცხოვრის საფლავის მახლობლად მოხდა. იგი აღწერა ისტორიკოსმა ცეზარ ვერნიუსმა (1538-1607).**

იერუსალიმელმა ებრაელებმა, რომელთაც ქრისტიანები სძულდათ, დიდძალი ძღვენით ჩააკითხეს ბაბილონში მეფე ამურატს, მათ ქრისტიანებს უზნეობაში დასდეს ბრალი და ცილი დასწამეს, თითქოს ისინი გეგმავდნენ ქრისტიანული სახელმწიფოს დაარსებას და წარმართთა წინააღმდეგ ბრძოლას. განრისხებულმა მეფემ ეს ამბავი არაბეთის მეფე ამფილოქეს აცნობა. განიზრახეს, ერთიანი ძალებით ქრისტიანთა განადგურება, თუმცა მეფე ამფილოქე აჩქარდა და იერუსალიმს ჯარით მარტო მოადგა. (ღმერთი სასწაულებრივად იფარავდა წმინდა ადგილებს, პატრიარქის კურთხევით, მღვდელი იოანიკე მაცხოვრის საფლავზე მდებარე ტაძარში განსაცდელთაგან დასაცავად ყოველდღიურად ატარებდა წირვა-ლოცვებს). წარმართი მეფე მიადგა იერუსალიმის კედლებს და შემუსრა მისი ციხე-სიმაგრე, როდესაც მაცხოვრის ტაძარს მიუახლოვდნენ, ღმერთმა იგი ღრუბლით დაფარა, თუმცა შემდგომ ღვთის ნებით, მათ მიეცათ ტაძარში მოხვედრის შესაძლებლობა, რა დროსაც ერთ-ერთი მებრძოლი გაავებული ეძგერა მღვდელს, რათა იგი მეფისთვის მიეგვარა, თუმცა მას ხელები გაუშეშდა. ამ სასწაულმა მეომარი შეაძრწუნა და იგი შენდობის სათხოვნელად ფეხებში ჩაუვარდა, მოძღვარმა შეუნდო და აკურთხა იგი და ჯარისკაცს მყისიერად განეკურნა ხელები.

მომხდარის გამო, წარმართი მეფე განრისხდა და დაიფიცა, რომ ამ ეკლესიას საჯინიბოდ აქცევდა და საბოლოოდ გაანადგურებდა. მისი ბრძანებით, მეომრები ეკლესიაში ცხენ-აქლემებზე ამხედრებულნი შევიდნენ. მღვდელმა, რომელიც წირვისთვის ემზადებოდა უფალს შესთხოვა შეწევნა და მყისიერად ყველა ცხოველი დაიღუპა. მომხდარმა მეფე დააფიქრა და შეაშინა, მან გადაწყვიტა ტაძარში ყოფნა და ქრისტიანთა ღვთისმსახურების ნახვა. მოწყალე უფალმა, რომელსაც ცოდვილთა დაღუპვა არ სურს, სულიერად განანათლა ურწმუნონი და მიეცა მათ უხილავის ხედვის მადლი.

როდესაც მღვდელი სამსხვერპლოს მიეახლა, ისინი ხედავდნენ, როგორ გაბრწყინდა მისი სახე მზეზე უბრწყინვალესად, ასევე ხედავდნენ მრავალ თეთრად მოსილ ჭაბუკს და არაჩვეულებრივი სილამაზის ჩვილს.

წარმარტი მეფე სამკვეთლოში სეფისკვერის ნაცვლად იმ გასაოცარ ყრმას ხედავდა და როდესაც მღვდელმა სეფისკვერს ლახვრით უგმირა და წარმოთქვა **„ერთმან მხედართაგანმან ლახვრითა განაღო გვერდი მისი და მეყსეულად გარდამოხდა სისხლის და წყალი“.** ამის შემხედვარე მეფე განრისხდა და იკითხა, ვინ იყო ის ავაზაკი, რომელმაც გასაოცარ ყრმას ლახვრით უგმირა, შემდეგ ბრძანა მეომრებს ტაძრისთვის ალყა შემოერტყათ, რათა დამნაშავე არ გაქცეულიყო.

შემდეგ მეფემ იხილა ხალხი, ვისთვისაც მოძღვარი მსხვერპლს სწირავდა, ღვთის სათნოდ მცხოვრებ და მლოცველ ადამიანებს სახე განათებული ჰქონდათ, ხოლო უგულისყუროდ მლოცველ და ცოდვილ ადამიანებს გამუქებული. სამსხვერპლოზე კი მღვდლის მიერ ამაღლებულ მსხვერპლს ანგელოზები იღებდნენ, როცა მოძღვარმა წარმოთქვა ასამაღლებელი „კურთხეულ არს მეუფება“ მეფემ იხილა, რომ ტაძარი აივსო ანთებული სანთლებით, საკურთხეველი კი ღვთიური ცეცხლით. მღვდლის სიტყვების შემდეგ: **„მშვიდობით უფლისა მიმართ ვილოცოთ“,** გამოჩნდა ღვთის წინაშე წარდგომილი მრავალი ანგელოზი, რომელნიც ლოცულობდნენ მშვიდობისათვის. როცა მღვდელმა დაიწყო ჩამონათვალი მენავეთა, მოგზაურთა და ა.შ. უფალმა მყისიერად უჩვენა მეფეს, მღელვარე ზღვაში მოცურავე ხომალდები, მღვდლის სიტყვების წარმოთქმის შემდეგ კი, ზღვა დაცხრა და გემები გადარჩნენ დაღუპვას. როდესაც მღვდელი ღვთისმშობლის მიმართ ამბობდა **„უმეტესას ყოვლადწმიდისა უხრწნელისა, უფროსად კურთხეულისა, დიდებულისა დედუფლისა ჩვენისა“,** მეფემ იხილა ზეციდან გარდმომავალი ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი ანგელოზებითურთ, რომელნიც საკურთხევლის წინაშე ზეცისკენ ხელაპყრობილნი ცრემლით ლოცულობდნენ იმ ქრისტიანეთათვის, რომელნიც უფალს ადიდებენ. მცირე გამოსვლის შემდეგ, მეფემ დაინახა ანგელოზები, მთავარანგელოზნი მიქაელი და გაბრიელი, მათ საკურთხეველში შესვლამდე მღვდელი მარჯვნიდან და მარცხნიდან ეპყრათ, როცა მოძღვარმა საკურთხეველში წარმოთქვა საიდუმლო ლოცვა **„ღმერთო, წმინდაო, რომელი წმიდათა შინა განისვენებ“,** უამრავმა ანგელოზმა მსხვერპლი აამაღლა, მთავარანგელოზმა მიქაელმა წარმოსთქვა: **„მოხედენ“,** გაბრიელმა კი სთქვა: **„მშვიდლობა ყოველთა“.** საქმე მოციქულთას წაკითხვის შემდეგ ორმა ანგელოზმა მღვდელი პატივით მიაახლა წმინდა ტრაპეზს, ხოლო სახარების კითხვისას მეფემ მოძღვრის გარშემო სამასი ანგელოზი დაითვალა. კითხვის დასრულების შემდეგ კი გალობითა და ღვთის დიდებით ზეცად ამაღლდნენ, ღვთის წინაშე ანგარიშის წარსადგენად.

ყოველივე ამის მხილველი მეფე ძრწოლამ მოიცვა, მღვდლის შემდგომ სიტყვებზე **„რამეთუ მოწყალე და კაცთმოყვარე ღმერთი ხარ“,** მან იხილა საკურთხეველიდან გამოსული ანგელოზი, რომელსაც თასით უძვირფასესი მირონი ეპყრა და მისი სურნელებით აივსო ტაძარი. ანგელოზები მირონს ცხებდნენ მსახურებაზე დარჩენილ იმ ქრისტიანებს, ვისაც მეფის არ შეეშინდა. შემდეგ მათ მეფეს უთხრეს, რომ თასში ქრისტიანთა სიმცირის გამო მცირე მირონი კიდევ დარჩა და მეფეს ყოველივესთვის უფლის სამსჯავროზე მოუწევდა პასუხის გება, მაშინ მეფემ მიუგო, რომ თავადაც ირწმუნებდნენ იესო ქრისტეს და მისთვისაც ეცხოთ მირონი. მეფის თანმხლებნიც იმავე აზრზე იყვნენ, მირონცხების შემდეგ თითქოს მათი თვალები ლიბრისგან განიწმინდა.

როდესაც მღვდელმა წარმოსთქვა **„რაოდენი კატაკმეველნი ხართ, განვედით“,** მეფემ და მისმა თანმხლებლებმა დაინახეს, ზეცით გარდამომავალი ანგელოზი ცეცხლოვანი მახვილით; მან გამოაცალკევა ყველა, ვინც ტაძარში უღირსად იქცეოდა, გონებადაბნეული ლოცულობდა, ლაპარაკობდა ან ამქვეყნიურ საზრუნავებზე ფიქრით იყო დაკავებული და გარეთ გაიყვანა. ხოლო მღვდლის სიტყვებზე: **„რათა ძლიერებითა შენითა ყოვლადვე დაცულნი, შენდა დიდებასა აღვავლენდეთ“,** ზეციდან ჩამოეშვა ცეცხლოვანი იარაღით შეჭურვილი მრავალი ანგელოზი. ამ დროს გამოჩნდნენ ბნელეთის ანგელოზებიც, რომლებიც შეურაცხყოფდნენ მღვდელს, ხოლო ბრწყინვალე ანგელოზებმა ისინი ტაძრიდან განდევნეს. შემდეგ მათ მღვდელთან ერთად წმინდა ნაწილები აიღეს და დიდი გამოსვლა აღასრულეს, თან გალობდნენ. როცა მღვდელმა დიაკვანს უთხრა: **„სული წმიდა მოვიდეს შენზე“,** ყველამ იხილა ზეციდან მტრედის სახით გარდამომავალი სული წმიდა, რომელიც მოეფინა წმინდა ნაწილებს და მთელი ეკლესია სულიწმიდის ნიჭებით აივსო. საკურთხეველი კი მზეზე უბრწყინვალესად განათდა. როდესაც მღვდელმა თქვა: **„ვიყვარებოდეთ ურთიერთას, რათა ერთობით აღვიარებდეთ“,** ზეციდან გარდამოეშვა თორმეტი ქერუბიმი, რომელნიც წმინდა კრავის სხეულს ეამბორნენ. ამ დროს მეფემ მამა ზეციერის ხმა გაიგონა: **„ესე არს ძე ჩემი საყვარელი, რომელი განსწმენდს ცოდვებს ამა ქვეყნისას“,** რის შემდეგაც, ქერუბინნი კვლავ ზეცად ამაღლდნენ.

ყოველივე ამის მხილველი და გამგონე მეფე ამფილოქე ატირდა. მღვდლის სიტყვებზე **„ვდგეთ კეთილად, ვდგეთ შიშით“,** მოძღვარი ღვთიური ნათლით აღივსო. სიტყვებზე **„მოხედეთ წმიდასა ამას შესაწირავსა, მშვიდობით შეწირვადასა“,** მეფემ იხილა, რომ ზეცად დაკლულ ყრმას აღამაღლებდნენ. ამ დროს ორმოცმა სერაფიმმა წმინდა ტრაპეზს წრე შემოარტყა, ხოლო სიტყვებზე: **„ძლევისა გალობისა, მგალობელნი, მხმობელნი, მღაღადებელნი და მეტყველნი“** ზეციდან გარდამოეშვა თორმეტი სერაფიმი, თითოეულს ექვსი ფრთა ჰქონდა, ორით სახეს იფარავდნენ, ორით კი დაფრინავდნენ და გალობდნენ **„წმიდაო, წმიდაო, წმიდაო, უფალო საბაოთ“** და კვლავ ამაღლდნენ ზეცად.

როცა მღვდელმა წარმოთქვა — **„მიიღეთ და ჰსჭამეთ, ესე არს ხორცი ჩემი, თქვენთვის განტეხილი მისატევებლად ცოდვათა“.** ეკლესია ანგელოზებით აივსო, რომლებმაც ერთხმად წარმოსთქვეს: **„ამინ“.** მღვდელმა განაგრძო — **„ჰსუთ ამისგან ყოველთა, ესე არს სისხლი ჩემი ახალი აღთქმისა თქვენთვის და მრავალთათვის დათხეული მისატევებელად ცოდვათა“,** რა დროსაც, ორმა ანგელოზმა აიღო ხალხის ცოდვები და ცეცხლით განსწმინდა ისინი. როცა მღვდელმა თქვა — **„უმეტესად ყოვლადწმიდისა, უხრწნელისა, უფროსადკურთხეულისა, დიდებულისა დედუფლისა ჩვენისა ღვთისმშობელისა“,** მეფემ დაინახა რომ წყვდიადი გაიხსნა და ანგელოზმა მორწმუნეთ უდიდესი სიხარულით ამცნო, რომ წყვდიადიდან დედა ღვთისას ლოცვით გამოვყავართ.

მღვდლის სიტყვებზე — **„და მომეც ჩვენ უფალო ერთითა პირითა და გულითა დედებად და გალობად ყოვლადპატიოსანსა და დიდად-შვენიერსა სახელსა შენსა“,** საკურთხეველიდან გამოვიდნენ სერაბიმნი, რომლებმაც მორწმუნეთ მიმართეს. **„ვსდგეთ ყოველნი შიშითა ღვთისათა ვადიდებდეთ მას“,** შემდგომ მღვდელმა წარმოსთქვა — „და ღირსმყვენ, ჩვენ, მეუფეო, კადნიერებით, დაუსჯელად კადრებად, დას დად შენდა, ზეცათა ღმრთისა მამისა და თქმად“, ამ სიტყვების შემდეგ ზეციდან გარდამოეშვნენ მთავარანგელოზნი მიქაელი და გაბრიელი, ტაძრის შუაგულში მუხლნი მოიყარეს და დაიწყეს მამაო ჩვენოს გალობა. როცა მოძღვარმა თქვა: **„თავნი თქვენნი უფალსა მოუდრიკენით“,** ამ დროს საკურთხევლიდან გამობრძანებულმა ანგელოზმა, მორწმუნეებს თავზე ოქროს გვირგვინი დაადგა. მან მეფესაც დაადგა თავზე გვირგვინი შემდეგი სიტყვებით: „გახდები ქრისტიანი და დაითმენ ტანჯვას ქრისტეს წინაშე“. მეფემ ამის გამო ძალზედ განიხარა და ცრემლებით ევედრებოდა უფალს, რათა ღირსი გამხდარიყო წმინდა ნათლისღებისა.

ამის შემდეგ მეფემ დაინახა ტაძარში ლაპარაკის მოსურნე ადამიანებს თუ როგორ ასხდნენ ზევიდან ეშმაკნი და ჩააგონებდნენ მათ, ლოცვის ნაცვლად ამქვეყნიურ ამაოებებზე ელაპარაკათ, როცა მღვდელმა წარმოსთქვა **„მადლითა და წყალობითა და კაცთმოყვარებითა, მხოლოდშობილისა ძისა შენისათა, რომლისა თანა კურთხეულ ხარ“,** ამ დროს მეფემ კვლავ გაიგონა ზეციერი მამის ხმა, რომელიც ამბობდა „მიიღე, მსახურო, ძე ჩემი საყვარელი, რომელიც ევნო მთელი ქვეყნიერებისათვის“, შემდეგ მღვდელმა წარმოსთქვა: **„ამაღლდი ცათა შინა, ღმერთო, და ყოველსა ქვეყანასა ზედა არს დიდება შენი“,** ამ დროს საკურთხეველზე გარდამოეშვნენ ყოველნი ზეციურნი ძალნი და დიდი პატივით აღიპყრეს დაკლული ყრმა, რომელსაც მეფე უკვე მრთელსა და უვნებელს ხედავდა, რომელიც მზეზე უბრწყინვალესად ანათებდა და იგი ზეცად აღამაღლეს. ანგელოზებრივი გალობით ღვთაების საკურთხევლისადმი. მეფე ამფილოქე მიწაზე დაემხო და თქვა: ღმერთო, შემიწყალე მე ცოდვილი, კრავო ღვთისაო, გამომიყვანე წარმართული წყვდიადიდან, რათა სამუდამოდ არ დავიღუპო. რის პასუხადაც მოესმა ხმა: „მოინათლე და შეუერთდები წმინდანთა ცხოვრებას, რომელნიც შენ იხილე“. ამ დროს მღვდელმა წარმოსთქვა: **„აღემართენით მიმღებელნი საღმრთოთა, წმიდათა, უხრწნელთა, უკვდავთა, ზეცისა ცხოველთა, საშინელთა ქრისტეს საიდუმლოთა“,** რის შემდეგაც მოვიდა ერთი ანგელოზი, აიღო მღვდლის ცოდვები, რომელნიც ერთ ქარტიაზე იყო ჩამოწერილი, ისინი ცეცხლით დაწვა, მოძღვარი განწმინდა და განასრულა წმინდა ლიტურგია. შემდეგ მღვდელმა აიღო ანტიდორი (სეფისკვერი) და მეფესთან მივიდა, მეფემ გამოსაცდელად უთხრა: „რატომ მომიტანე მე ნამცეცები, მე დავინახე, რომ შენ დაკალი მზეზე უბრწყინვალესი ყრმა და რატომ მისი ხორცი არ მომიტანე, რათა ვზიარებოდი ჩვენს უფალს?“ მღვდელი მიხვდა, რომ მეფეს ხილვა ჰქონია და მიუგო: „შენ გახდი უმეტესად საყვარელი უფლისა, ვიდრე მე, რადგან მე ვატარებდი მსახურებას ამ პურით და არაფერი მიხილავს და რამდენადაც მესმის, გეუბნები, მიიღე ანტიდორი, როგორც ეკლესიური ძღვენი და როცა უფალი ნათლისღების ღირსს გაგხდის, მას შემდეგ მიიღებ ღვთაებრივ საიდუმლოს ქრისტეს ხორცსა და სისხლს. ამაზე მეფემ მიუგო: „მოგვნათლე!“ მღვდელმა უპასუხა, რომ პატრიარქის ლოცვა-კურთხევის გარეშე არ ჰქონდა მეფის მონათვლის უფლება, ამის შემდეგ მხლებლები გაგზავნეს პატრიარქთან ანტიოქიაში, სადაც იმჟამად იმყოფებოდა. მეფემ პატრიარქს შეუთვალა, რომ უფალმა განუცხადა უსაშინლესი საიდუმლო სარწმუნოებისა და რომ იგი ნანობს განვლილ ცხოვრებას. ამაზე პატრიარქმა ძალზედ განიხარა და მაშინვე გამოემგზავრა იერუსალიმს. მეფეც დიდძალი ხალხითა და ჯარით დახვდა მას. პატრიარქი ჯარის დანახვაზე ეჭვებში ჩავარდა და შეშინდა, მაგრამ მეფე მიუახლოვდა პატრიარქს, მიწამდე თაყვანი სცა და მიმართა: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, რომელი განანათლებ ჩემ სულს“. პატრიარქი თავზე ეამბორა მას და შემდეგ უფლის საფლავზე მდებარე ტაძარში მონათლა, მხლებლებსა და ჯართან ერთად. პატრიარქმა ისინი განსწავლა ქრისტიანულ სარწმუნოებაში და უწინასწარმეტყველა ქრისტესთვის მოწამეობა, რის შემდეგაც ილოცა მათთვის და აკურთხა ისინი.

იერუსალიმიდან წამოსული მეფე ამფილოქე მივიდა მეფე ამურატთან და უამბო ყოველივე. უსჯულო და უკეთურმა ბაბილონის მეფემ, როცა ყოველივე მოისმინა, პასუხად უთხრა, რომ ახლავე თაყვანი ეცა კერპებისთვის და მსხვერპლი შეეწირა მათთვის, წინააღმდეგ შემთხვევაში სიკვდილით დასჯიდა. ამაზე მეფე ამფილოქემ უთხრა: „მეფევ, როგორ არ გესმის შენ სიტყვები ჭეშმარიტი და სასარგებლო; შენ დარჩები ამ ურწმუნოებაში და საუკონოდ ეწამები იმ ბოროტ სულებთან ერთად, რომელთაც ეთაყვანები, მე კი მათ მსხვერპლს აღარასოდეს შევწირავ“. ამის გამგონე მეფე ამურატი დაჭრილი მხეცივით აყვირდა და ბრძანა, თავი მოეკვეთათ მეფე ამფილოქესა და მისი მხლებლებისთვის. ამის გამო მათ ძალზედ განიხარეს და აღივსნენ ღვთიური სასოებით, მათ სიხარულით მოიდრიკეს თავი ხმლის ქვეშ, რითაც აღსრულდა მათთან დაკავშირებული წინასწარმეტყველებაც და შემკულ იქნენ მოწამეობრივი გვირგვინით ქრისტესათვის.

# სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის,

## უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II-ის საშობაო ეპისტოლე

ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, ღირსნო მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონოზონნო, ჩემო საყვარელო სულიერო შვილებო: ქართველებო, აფხაზებო, ოსებო, ბერძნებო, რუსებო, უდიებო, სომეხნო, აზერბაიჯანელნო..., ყოველნო შვილნო საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიისა, სამშობლოში მკვიდრნო და ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო, გიხაროდეთ!

„მოხედნა ღმერთმა და ყო ხსნა „სიტყვაი იგი ხორციელ იქმნა ერისა თვისისა“ (ლკ.I,67). და დაემკვიდრა ჩუენ შორის“ (ინ.I,14).

დამთავრდა ძველი აღთქმის ჟამი და აღსრულდა წინასწარმეტყველთა მიერ ნაუწყები: ბეთლემის გამოქვაბულში ხორცშესხმული მოგვევლინა საუკუნეთა უწინარესი ღმერთი — ყრმა იესო.

ზეიმობს ცა და ქვეყანა, ხარობს ღვთისმშობელი, რადგან დღეს ნეტარების საუფლოდან განდევნილი ადამის მოდგმა განღმრთობას იწყებს და ჩვენი დაცემული ბუნება სამეუფო ღირსებით იმოსება.

წმიდა ქალწულმა მარიამმა, „ძველის თანანადების გამომსყიდველმან და მთელი ქმნილებისათვის ცხონების მშობელმან, გახსნა პირველ ევას მიერ შეკრული კვანძი და სამყაროს მარადიული სიცოცხლის სათავედ და ახალ დედად მოევლინა“ (წმ. ირინეოს ლიონელი). სწორედ მისი სახით დაიწყო ქრისტიანული ერა რომელმაც მანამდე არნახულ სიმაღლეებს აზიარა ადამიანი.

ქრისტიანულ სწავლებაში სხვა დატვირთვა შეიძინა ოჯახურმა ურთიერთობამაც: „ცოლი როდია თვისი სხეულის უფალი — არამედ ქმარი; არცა ქმარია თავისი სხეულის უფალი — არამედ ცოლი“ (I კორინთ.7.4), — გვასწავლის მოციქული და დასძენს:

„ვითარცა ეკლესია დამორჩილებულ არის ქრისტესა, ეგრეთცა ცოლნი-თასთა ქმართა ყოვლითა. ქმართა გიყუარდეთ ცოლნი თვისნი, ვითარცა ქრისტემან შეიყუარა ეკლესია და თავი თავისი მისცა მისთვის“ (ეფ. 5.24-25).

ქმარი არის ოჯახის თავი, რადგან მას ღვთისგან დაკისრებული აქვს პასუხისმგებლობა, საჭიროებისამებრ ყოველთვის დაიცვას ცოლი და შვილები, იყოს ერთგული წინამძღოლი და მასაზრდოებელი;

ქალსაც არანაკლები დანიშნულება აქვს. მისი მთავარი ფუნქციაა შვილთა ყოლა, მათი აღზრდა და ოჯახზე ზრუნვა, რაც მის საზოგადოებრივ აქტიურობას არ გამორიცხავს. როდესაც მეფე-დედოფალი ჯვარს იწერს, ისინი მღვდელთან ერთად სამჯერ გარშემო უვლიან ანალოღიას, რომელზეც სახარებაა დაბრძანებული. ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი მზად არიან მთელი ცხოვრება ერთმანეთს და ღმერთს დაუკავშირონ.

ქრისტიანული ოჯახი ეფუძნება მღვდელმოქმედებით მადლს, რაც ქორწინების საიდუმლოს გულისხმობს; აქ ხდება ეგოისტური „მე“-სგან სრული დაცლა, რადგან ერთი პიროვნება მთლიანად უძღვნის თავს მეორეს. ისინი სიყვარულით ერთიანდებიან ქრისტეში, რათა ერთად იზრუნონ ცხონებისათვის და მეუღლეობის საკვრელით დაკავშირებულნი წარდგნენ ყოველთა მეუფის წინაშე.

დიდი ბედნიერებაა ოჯახის შექმნა სიყვარულით, მაგრამ მთავარია ამ მადლის შენარჩუნება და გამრავლება. როდესაც ადამიანი შეყვარებულია, იგი მისთვის სასურველ პიროვნებაში ხედავს ისეთ თვისებებს, რასაც შესაძლოა სხვები ვერ ამჩნევდნენ. ამ დროს ხდება მეორე ადამიანში დაფარული შინაგანი მშვენიერების აღმოჩენა.

„რა კარგი უნდა იყოს ერთი იმედით, მსახურებითა და რწმენით ორი გულის შეერთება, — წერს ტერტულიანე. ჭეშმარიტად, ისინი ორნი არიან ერთ სხეულად განმთლიანებულნი, ხოლო სადაც ერთი სხეულია, იქ ერთსულოვნებაა. ისინი ერთად ლოცულობენ, ერთად იდრეკენ მუხლს, ერთად მარხულობენ, ერთმანეთს ამხნევებენ. თანასწორნი არიან ღმერთის წინაშე. თანაბრად ინაწილებენ დევნასა და ნუგეშს, არაფერს უმალავენ და არც ამძიმებენ ერთმანეთს..., ხედავს რა მათ ერთობას, უფალი ხარობს, სახლს მშვიდობას მოჰფენს და მკვიდრობს მათთან ერთად“.

ცოლ-ქმრულ ურთიერთობაში შემდგომი ეტაპი არის შვილიერება. ბავშვების დაბადება და მათზე მზრუნველობა სრულყოფის კიბეზე ამაღლების ახალი შესაძლებლობაა, რადგან მეუღლეთა ურთიერთსიყვარული, ამ შემთხვევაში, გრძნობის ხელახალ გადანაწილებას ითხოვს; ადამიანი კიდევ უფრო მეტად ემიჯნება ეგოისტურ „მე“-ს და კიდევ უფრო მეტად ფართოვდება მსახურების არეალი, რაც ღვთის სათნო ცხოვრებას განამტკიცებს.

როგორი სიფაქიზით გვწვრთვნის უფალი! როგორ ნელ-ნელა და თანდათანობით ავყავართ მას უმაღლესი სიყვარულის საფეხურებზე, ყველა პირობას გვიქმნის, რომ ჩვენი დაცემული მდგომარეობისაგან გვიხსნას და მარადიული ნეტარებისთვის მოგვამზადოს.

ასეთი ოჯახი, ასეთი ერთობა ქალისა და კაცისა, სიმბოლურად “მცირე ეკლესიად“ იწოდება, რომლის სიმტკიცეც დაურღვეველია.

თუმცა ფაქტია, რომ ჩვენს ყოფაში უფრო ხშირად გვხვდება ისეთი ოჯახები სადაც უგულებელყოფილია პასუხისმგებლობა და მოვალეობები; ისინი მოკლებულნი არიან ღვთის მადლს და უსიხარულოდ ცხოვრობენ ან, საერთოდაც, ირღვევიან;

უნდა ითქვას ისიც, რომ დღეს ბევრი ადამიანის ცხოვრების წესი ოჯახური სიწმინდის წინააღმდეგ არის მიმართული. ბოლო პერიოდში კი მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა, რაც ქორწინებისთვის ახალგაზრდების მოუმზადებლობით არის განპირობებული.

განვიხილოთ რამდენიმე გარემოება:

1. ქორწინებაში მყოფთ ხშირად მხოლოდ გატაცება აკავშირებთ და თანაცხოვრების პირობებშიც ვერ აღწევენ იმ სიყვარულს, იმ ერთგულებასა და თავგანწირვას, რისთვისაც არიან მოწოდებულნი, ამიტომაც მალევე კარგავენ ერთმანეთისადმი ინტერესს და სცილდებიან.

2. ახლადშეუღლებულნი, მართალია, სიყვარულით ქმნიან ოჯახს, მაგრამ ვერ აცნობიერებენ, რას ნიშნავს მეუღლეობა, რამდენად დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ მათ და რას მოითხოვს იგი თითოეული მათგანისგან; ისინი ადვილად კარგავენ იმ განწყობას, რაც ერთად მყოფობის პირველ პერიოდში ჰქონდათ; იწყება იმედგაცრუება, ერთმანეთში მრავალი ნაკლოვანების აღმოჩენა და დაუთმენლობა. გაღიზიანება იმ მდგომარეობამდეც მიდის, რომ ერთ დროს სანუკვარი ადამიანი, უკვე აუტანელი ხდება.

3. მეუღლეთაგან ერთი იჩენს ერთგულებასა და თავდადებულ სიყვარულს, მაგრამ მეორე ამ გრძნობებს სათანადოდ არ აფასებს და მხოლოდ თავისი ვიწრო ეგოისტური სურვილების ტყვეობაშია.

საერთოდ, მეცნიერულ-ტექნიკურმა წინსვლამ და მატერიალისტურმა მსოფლმხედველობამ ადამიანში სხვისი ფლობის სურვილი და მომხმარებლური სული გააძლიერა. დღეს უკვე ამგვარი მიდგომა შეეხო ოჯახის წევრებსაც და ეგოისტური მიზნებით თვით მათი გამოყენების მცდელობები გააჩინა. ასეთი დამოკიდებულება ოჯახურ ყოფას გაუსაძლისს ხდის.

4. ხდება ისეც, რომ მშობლები ზოგჯერ უხეშად ერევიან წყვილის ცხოვრებაში. მათ უჭირთ შვილთან ერთგვარი განშორება და ძველებური ურთიერთობის შეცვლა; ისინი კრიტიკულად აღიქვამენ ახალ ვითარებას და გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად ხელის შემწყობნი ხდებიან ოჯახის დანგრევისა.

რა თქმა უნდა, მშობლების პატივისცემა და სიყვარული ბუნებრივიც არის და სავალდებულოც ყველასთვის; ასევე ბუნებრივია ახლობლების, მეგობრების, ნათესავების... სიყვარული, მაგრამ ცოლ-ქმრული ყოფა სრულიად განსხვავებულია; ამისთვის ბრძანებს წმინდა წერილი: „მიატოვებს კაცი თავის მამას და თავის დედას, შეუერთდება თავის ცოლს, რათა იყ-

# ილია მეორის საშობაო ეპისტოლე

ვნენ ორნივე ერთ ხორც“ (ეფ. 5.31). ეს საიდუმლო დიდია და მისი დარღვევა — აკრძალული.

5. ერთ-ერთი მიზეზი, რომლის გამოც ირღვევა ოჯახი არის ნარკომანია (ასევე ალკოჰოლიანი სასმელების ზედმეტად გამოყენება) და ბოროტი ძალების გავლენით ადამიანებზე ზემოქმედება. ორივე მდგომარეობაში პიროვნებას წართმეული აქვს თავისუფალი ნება, ოღონდ პირველ შემთხვევაში, ადამიანი ვერ უძლებს საცდურს და მასზე მიჯაჭვულობის გამო, ფაქტიურად, ნებაყოფლობით ამბობს უარს თავისუფალ ნებაზე, მეორე შემთხვევაში კი, გაუცნობიერებლად ექცევა სხვისი გავლენის ქვეშ.

არადა თავისუფალი ნება ღვთისგან ჩვენთვის მონიჭებული დიდი საბოძვარია. უფალმა არ შეურაცხყო პიროვნების ღირსება, არ აქცია იგი მისი სურვილის უბრალო აღმსრულებლად, არამედ მისცა უფლება არჩევანისა.

ამიტომაც ეს ცოდვები ღვთის გმობად სახელდება და მათგან გათავისუფლება მხოლოდ ლოცვით, მარხვით და ეკლესიური ცხოვრებით შეიძლება.

ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოს, რომელშიც გვიწევს ცხოვრება. დღეს ისეთი ყოფა მკვიდრდება, რომელშიც ყველა ეძებს თავისას და არა იმას, რაც სათნოა ქრისტესთვის (ფილ. 2,4).

სიცრუე იქცა დადებით მოვლენად, სხვაზე გადაბრალება — ჩვეულებად, გულგრილობა — წესად, უზნეობა და თავაშვებულობა — მისაბაძად; ცილისწამება და ძალადობა — ყოველდღიურ მოვლენად; ანუ ღვთის შიშის გარეშე მცხოვრებთათვის ცოდვითი ყოფა ნორმა ხდება. მათი რიცხვი კი ყველგან იზრდება.

აგრესია განსაკუთრებით დიდია ახალგაზრდებში და მამაკაცების გარკვეულ ნაწილში; განსაკუთრებით მათში, რომელნიც უსაქმოდ და უფუნქციოდ დარჩნენ და ოჯახის მარჩენალისა და მასზე მზრუნველის ფუნქცია დაკარგეს. ეს ტვირთი დაემატა ქალს, რამაც მისი მდგომარეობა, კიდევ უფრო დაამძიმა და ცოლსა და ქმარს შორის ფუნქციური ბალანსი სრულად დაარღვია. ეს კი იწვევს ორივე მხარის დაძაბულობასა და გაღიზიანებას. რაც, სამწუხაროდ, ზოგჯერ ქალების სიცოცხლის ხელყოფით მთავრდება. მდგომარეობის ნაწილობრივი გამოსწორება სამუშაო ადგილების შექმნასა და ანაზღაურების გაუმჯობესებას შეუძლია. თუ ეს განხორციელდა, დიდად შეეწყობა ხელი ოჯახში სხვა სახის ძალადობის აღმოფხვრასაც და ცხოვრების, ასე თუ ისე, ნორმალურ კალაპოტში ჩადგომას.

ვფიქრობთ, ეს სერიოზულ გავლენას იქონიებს თვითმკვლელთა რიცხვის შემცირებაზეც. ადამიანები, განსაკუთრებით ურწმუნონი, თუნდაც, რომ ფიზიკურად ძლიერნი იყვნენ, კრიტიკულ სიტუაციებში უსუსურნი ხდებიან, რადგან მხოლოდ საკუთარ თავს ეყრდნობიან და რესურსი სიმტკიცისა მალე ეწურებათ.

ავადმყოფობით, უსახსრობით, უბინაობით,ვალებით ... გამწარებულებს ჰგონიათ, რომ თავის მოკვლით პრობლემებისგან გათავისუფლდებიან; სინამდვილეში კი ამ ქმედებით ისინი მარადიული ტანჯვისა და სიკვდილის იმ კარს აღებენ, სადაც მათ ვეღარავინ უშველის (გამონაკლისს სულით ავადმყოფები წარმოადგენენ).

ჩვენთვის ბოძებული მიწიერი ცხოვრებით უფალმა შესაძლებლობა მოგვცა, მარადიულ ნეტარებაში დავმკვიდრდეთ. ვინც ამ შემოთავაზებაზე უარს ამბობს, საკუთარი თავის მიმართ განხორციელებული ძალადობის მსხვერპლი ხდება და თავისი ნებით ჯოჯოხეთის სკნელში აღმოჩნდება. ეს იმდენად დიდი დანაშაულია, რომ მათთვის ლოცვაც აკრძალულია. ღმერთმა ყველა დაიფაროს თვითმკვლელობისგან!

გასულ წელს მსჯელობის საგანი იყო ქალების მიმართ განხორციელებული ძალადობა; თუმცა, მხოლოდ ამ თემით შემოფარგვლა საკმარისი არ არის. სამწუხაროა, რომ არ იმართება დისკუსიები და არ იგმობა თუნდაც იგივე თვითმკვლელობა და სხვა უმძიმესი ცოდვები, არ იგმობა აბორტიც, რომელიც ძალადობის ყველაზე საშინელი და საზარელი სახეა.

დედა, რომელმაც შვილის მკვლელობის ეს დანაშაული ჩაიდინა და ექიმებიც, არ შეიძლება არ გრძნობდნენ სინდისის ქენჯნას; არ შეიძლება არ გრძნობდნენ დაღვრილი უმანკო სისხლის ძახილს. ამ დანაშაულის გამოსყიდვა მხოლოდ გულმხურვალე სინანულითა და ქველი საქმეებით შეიძლება და კიდევ იმით, რომ ეს ადამიანები გახდნენ ერთგვარი მქადაგებელნი და დაარწმუნონ თავისი ახლობლები და ნაცნობები, რომ მათ მაინც მსგავსი რამ არ ჩაიდინონ და ამით სხვა ჩვილების სიცოცხლე გადაარჩინონ.

საერთოდაც, ყველა უნდა ვეცადოთ, სიტყვით მაინც დავეხმაროთ ერთმანეთს, მივცეთ იმედი მრავალი პრობლემით დამძიმებულ ჩვენს შვილებს, დებსა და ძმებს და ხსნის რაიმე გზა შევთავაზოთ.

ამდენი ტანჯვისა და ტკივილის, თავსმოხვეული „ახალი აზროვნებისა“ და ყოველდღიური მოულოდნელობების ფონზე ოჯახები საქართველოში მაინც დგას ზნეობის სადარაჯოზე; ეს სასწაულია, რაც, პირველ რიგში, ქართველი ქალის, — დედის დამსახურებაა. ქალის როლი ყოველთვის განსაკუთრებული იყო და არის ჩვენს ისტორიაში.

წმინდა ილია მართალი წერს:

„ქართველებისთვის „დედა“ მარტო მშობელი არ არის, ქართველი ღვიძლ ენასაც „დედა-ენას“ ეძახის, უფროს ქალაქს — „დედა-ქალაქს“ – მკვიდრ და დიდ ბოძს სახლისას — „დედა-ბოძს“, უდიდესსა და უმაგრეს ბურჯს, „დედა-ბურჯს“, სამთავრო აზრს — „დედა-აზრს“, გუთნის განმგებელ მამაკაცს კი — „გუთნის-დედას“.

რამდენად განდიდებულია მნიშვნელობა დედისა!“ ეს დამოკიდებულება კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა მას შემდეგ, რაც საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი გახდა. ღვთის საიდუმლო განგებულებით, კვართი უფლისა საქართველოში ჩამობრძანდა და მცხეთაში დაიფლა. მისი აქ დაკრძალვა არ ნიშნავს მხოლოდ ამ ლოკალური ადგილის მონიშვნას; სასწაულთმომქმედი უკერველი კვართი მაცხოვრისა მთელმა საქართველომ შეიმოსა, ხოლო ყოვლადწმინდა მარიამს, ამავე საიდუმლო განგებულებით, ჩვენი ქვეყნის განსაკუთრებული მფარველობა დაევალა.

ჩვენი მეოხია იგი, რომელიც დამხსნელია ადამის წყევისა, აღმასრულებელი ევას თანანადებისა, წმინდა შესაწირია აბელისა, სამკაულია სეითისა, სათნოყოფაა ენუქისა, კიდობანია პირმეტყველი ნოესი, დიდებაა მელქისედეკის მეფობისა და მღვდელობისა, რომელიც სიმტკიცეა აბრაამის სარწმუნოებისა, ზეცად მიწევნული კიბეა იაკობისი, ღვთივწერილი წიგნია მოსესი, კვერთხია იგი განედლებული და აღყვავებული აარონისი, ძლევაი ისუ ნავესი, გზაა მშვენიერი ელიას ამაღლებისა, მრჩობლი კურთხევაა ელისეს ხალენისა, წინასწარმეტყველთა ქადაგებაა და სიტყვათა მათთა აღსრულება.

აი, ამ საოცარი ქალწულის მიერ ჩვენს განსანათლებლად და გადასარჩენად წარმოგზავნილი ანდრია მოციქულის, წმინდა ნინოსა და სხვა წმინდანთა მადლით საქართველომ, ხალხის დიდი მსხვერპლშეწირვისა და ძალისხმევის ფასად, საუკუნეთა მანძილზე გაუძლო ყოველი მხრიდან შემოსეულ მომხდურს; დღეს კი კიდევ უფრო დიდი გამოცდის წინაშე ვდგავართ.

ყველამ, — ერმაც და ბერმაც, ვისთვისაც ძვირფასია სამშობლო, საკუთარი ოჯახიცა და თავიც, პირველ რიგში, ჩვენი ცხოვრება უნდა გამოვასწოროთ; ჩვენში და ჩვენს შორის დაბუდებული ცოდვა და მისი შედეგი, — სიკვდილი უნდა დავძლიოთ და სიკეთისა და სიცოცხლის გამარჯვება ვიზეიმოთ.

მაცხოვრის შობის ამ ბრწყინვალე დღეს ზეცა ივსება ანგელოზთა საგალობლით: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება.“ ბეთლემელი მწყემსებიც და ქალდეველნი მოგვნიც კვლავ მიიჩქარიან, რათა თაყვანი სცენ ყრმა იესოს და ყოვლადწმინდა ქალწულს.

ჩვენც მოვიყაროთ მუხლნი გულისა ჩვენისანი წინაშე უფლისა და დედაღვთისმშობელს შევთხოვოთ, განგვიღოს მოწყალებისა კარი, რათა მადლით აღავსოს ყოველნი მორჩილებით მისგან წყალობის მომლოდინენი.

მაშ, განვიწმინდოთ სული, გონება და გული, ჩვენი ზრახვა და გრძნობები, ვაპატიოთ და შევურიგდეთ ერთმანეთს, რათა ღირს ვიქმნეთ, მივეგებოთ ბეთლემში შობილ მაცხოვარს და ცოდვებისაგან განთავისუფლებულებმა, აღმოვსთქვათ: ემმანუელ – ჩვენთან არს ღმერთი!

ღმერთს ებარებოდეთ.

იხარეთ ორსავე სოფელსა შინა.

**სიყვარულით თქვენთვის მლოცველი**
**ილია II**
**სრულიად საქართველოს**
**კათოლიკოს-პატრიარქი**
**თბილისი, შობა ქრისტესი,**
**2014-2015 წელი.**

# ჩვენ გავბრაზდით!

ლევან სეფისკვერაძე

რამდენიმეწლიანი შესვენების შემდეგ, გაზეთ „ვერსიაში“ სვეტი „შავი სათვალით“ დაბრუნდა. დაგიბრუნდით მომატებული წონით, მომატებული წლებით, მოძალებული ბრაზით, დამსხვრეული ოცნებებით და ოდნავ მანიაკალური ქართული ოპტიმიზმით, რადგან მიუხედავად ყველაფრისა მაინც გვჯერა, რომ ხვალ ყველაფერი უკეთ იქნება. აი, რატომ გვჯერა, კაცმა არ იცის... და რაც მთავარია, ჩვენ გავბრაზდით!

დაგიბრუნდით შეცვლილი მთავრობითა და ახალ-ახალი უსაქმურობის „ღმერთებით“, რომლებიც მსუყე პრემიებს ისე ოსტატურად იწერენ, მრავალპრემიაგამოვლილთაც კი ნერწყვი მოუვათ.

დაგიბრუნდით კიდევ უფრო მეტად დაბეჩავებული და მრავალიმედგაცრუებული მოსახლეობის ხილვით გაბრაზებული. ამ ხალხის ფუჭ იმედებზე და ყალბ ოცნებებზე ალბათ მსხვილ-მსხვილი ტომეულების დაწერაც კი შეიძლება, მაგრამ ეს სიამე, მოდი, მათ დავუთმოთ, ვინც ზოგადად აღმერთებს მსხვილ ტომებს.

დაგიბრუნდით გათავხედებული უმაქნისი მთავრობით და სრულიად მარგინალიზებული ოპოზიციით, რომლის (თუნდაც სამართლიანი) მოთქმა-გოდების უკვე აღარავის სჯერა და ჩვენი მთავარი სატკივარი ალბათ სწორედ ისაა, გამოჩნდება თუ არა ხალხი, რომლებიც სათქმელსაც ნორმალურად იტყვის და მავანთ წამოსაძახებელიც არ ექნებათ მათზე უკვე საქილიკოდქცეული მისტიური „9 წელიწადი“.

დაგიბრუნდით გაფიცული რკინიგზელების დარდით და ერთ დროს უფლებადამცველად სახელდებული დაჩი ცაგურიას ცინიკური ღიმილით, რომელიც იღბლისა და ხელისუფლების ცვლის გამოისობით რკინიგზის დეპარტამენტის თანამშრომლად მოგვევლინა. რომელიც შუაღამით მელორ ვაჩნაძესა და ძმათა მათ გაფიცულ რკინიგზელებს „უქსევდა“ და მეორე დღეს ამბობდა, რომ ღამის 2 საათზე სალოკომოტივო დეპოში მუშებთან საქმის გასარჩევად მისული „ყოფილი პოლიტპატიმრები“ მოსალაპარაკებლად „შემთხვევით“ იყვნენ მისულები.

დაგიბრუნდით აფეთქებული საყრდისით, რომლის კულტურისძეგლობა სიმართლე გითხრათ და ჩემში (და არამხოლოდ ჩემში) დიდ ეჭვებს ბადებს, მაგრამ კიდევ უფრო დიდ ეჭვებს ბადებს მავანთა ესოდენი მონდომება საყდრისის რაც შეიძლება სწრაფად ასაფეთქებლად და სრული იგნორირება იმ ხალხისა, რომლებიც ელემენტარულად დასმულ სრულიად ლეგიტიმურ კითხვებზე პასუხის გაცემას ითხოვდნენ.

დაგიბრუნდით ათეულობით ათასი სტატუსშეჩერებული სტუდენტით, რომლებსაც და რომელთა ოჯახებსაც არ აღმოაჩნდათ (ნეტავ რატომ?!) მათი სწავლის გაგრძელების თანხა და ჩვენი ხელიხელსაგოგმანები ხელისუფლების წარმომადგენლებმა რამდენიც უნდა იძახონ „განათლება ჩვენთვის პრიორიტეტულიაო“, ძირითადად გაჭირვებულ ოჯახებში მცხოვრები ეს ათეულობით ათასი ახალგაზრდაა იმის დასტური, რომ, როგორც სხვა ყველაფერი, ეს „რეფორმაც“ დიდი ტყუილი და ბლეფია და მიუხედავად იმისა, ეს პრობლემა წინა ხელისუფლების დროსაც არსებობდა, სტატუსშეჩერებული სტუდენტების რაოდენობა, ფაქტია, მხოლოდ გაიზარდა.

დაგიბრუნდით ერთმანეთზე „ძაღლი-კატასავით“ გადაკიდებული პარლამენტარებით და ოლიმპიური ჩემპიონის საქვეყნოდ გაშიშვლებული არცთუ საამოდ სანახავი ალაგით, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ დიდ ჩემპიონობას და ჩემპიონის ავტორიტეტის მოპოვებას წლების განმავლობაში დაუღალავი ვარჯიში და ოფლისღვრა სჭირდება, ამ ავტორიტეტის განიავებას კი სულ რაღაც ერთი წუთი – პარლამენტში მაგიდაზე აბობღება და ჩახდილი შარვალი...

პირობას გაძლევთ, რომ „შავი სათვალით“ იქნება ისეთივე კრიტიკული, როგორიც ადრე იყო და კიდევ უფრო მეტად კრიტიკულიც კი. ჩვენ და ჩვენს საზოგდოებას დასაკარგი აღარაფერი გვაქვს. ჩვენ კარგა ხანია აღარ გვაშინებს არც ჯოხმომარჯვებული სპეცრაზმელი და არც კალკულატორმომარჯვებული ფინანსური პოლიციის თანამშრომელი. ჩვენ შიშში და საგიჟეთში გამობრძმედილი ხალხი ვართ და ჩვენი აქეთ უნდა ეშინოდეთ მათ, ვისაც რატომღაც ჰგონიათ, რომ მათი გაზულუქება და დიდპრემიანობა სამარადჟამოდ გაგრძელდება. გეგონოთ, ბატონები, გეგონოთ...



# საშობაო აღსარება ზონაზე

## როგორ არჩევდნენ პატიმრებს ზიარებისთვის და რაფომ აჩუქა მსჯავრდებულმა ოფიცერს იერუსალიმიდან ჩამოტანილი სანთელი

პატიმარი №0578

როგორც წესი, საქართველოში იანვარი სიზმარივით გადის. ჯერ ახალი წელი, შემდეგ ბედობა, შობა, ძველით ახალი წელი და ნახევარ იანვართან ერთად, ნახევარი ზამთარიც წელშია გატეხილი. ასე არ ხდება სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, სადაც ყოველი დღე უსაშველოდ იწელება, განსაკუთრებით — ზამთარში. ზაფხულობით ზონას დილის 10 საათზე აღებენ და საღამოს რვაზე კეტავენ. ზამთარში კი, ზონა ღია დილის ათიდან, საღამოს ექვსის ნახევრამდეა, ამიტომ პატიმრებს ძირითადი დროის გატარება დახურულ კარსმიღმა უწევთ. თოვლი თუ მოვიდა, ზონა საერთოდ არ იღება. მიზეზი მარტივია — თოვა საუცხოო საშუალებაა დაპირისპირებული პატიმრებისთვის ერთმანეთში საქმის გასარჩევად. რომელიმე პატიმრის დაშავების შემთხვევაში, ყველაფერი ამინდს ბრალდება, რადგან მარტივია თქვა, რომ თოვლზე ფეხი აუცურდა, დაეცა და დაშავდა. მხოლოდ დაშავება კი არა, თოვლში მოტეხილობების „გამწვანებაც“ მოსულა და ამიტომ, ციხის ადმინისტრაცია არ რისკავს. არის კიდევ ერთი საინტერესო ტრადიციაც — შობის ღამეს, პატიმრები, რომლებიც მარხულობენ, საშობაო ღამისთევას ესწრებიან, ლოცულობენ, აღსარებას აბარებენ, ეზიარებიან...

„არ მაქვს ბევრი პატიმრის ნერვები. მაქსიმუმ 30 კაცი დაესწრება წირვას. საპატრიარქოშიც ვუთხარი, რომ ერთი მღვდელი საკმარისი იქნება“, — გამოაცხადა 2012 წლის 6 იანვარს რუსთავის №17 დაწესებულების დირექტორმა, ლაშა ბრეგვაძემ და პატიმრებიც საგონებელში ჩავარდნენ. როგორი ასარჩევი იყო 30 კაცი, როცა ნახევარ ზონაზე მეტი მარხულობდა და სწორედ შობის ღამეს ელოდა. ასე იყო თუ ისე, 30 კაცი შეირჩა და მათ რიცხვში არ მოხვდა პატიმარი №0578. ზონა წესისამებრ ხუთ საათზე დაიკეტა. ღამის 11 საათზე რამდენიმე საკანი უნდა გაღებულიყო, რათა 30 კაცი წირვაზე წაეყვანათ.

„ლაშას უთხარი, სამი კაცი არაფერს წყვეტს, მე და ჩემი ორი საკამერნიკი უნდა დავესწროთ წირვას“, — ზონის დაკეტვამდე უთხრა №0578-მა რეჟიმის უფროსს.

11 საათზე კამერები გაიღო და წირვაზე პატიმარი №0578-იც გაიყვანეს თანასაკნელებთან ერთად. მაყურებელს №0578-ის დანახვაზე გაეღიმა და ჩუმად თქვა — „მაფიოზი ხარ, რა“.

„აბა, ქურდული დაგიბერდათ და მაფიოზურზე გადავედი, სხვა გზა არ არის“, — ღიმილით უპასუხა №0578-მა.

წირვა დაიწყო და პატიმრებთან ერთად სამლოცველოში ერთი ოფიცერი გოგაც დადგა. ბიჭებმა ჯერ ამრეზით შეხედეს, შემდეგ ჩურჩული დაიწყეს, ბოლოს კი გოგასთან მაყურებელი და №0578 მივიდნენ.

„თუ იმას აკვირდები, არავინ არაფერი გააფუჭოს, მე გაძლევ პირობას, რომ არაფერი მოხდება აქ ისეთი, ვინმემ საყვედური გითხრას. წადი, დაისვენე“, — უთხრა მაყურებელმა.

„არა ბიჭებო, დედას გეფიცებით, ვმარხულობდი, ახლა აღსარება მინდა ჩავაბარო და ვეზიარო, სმენა ვერავის გადავუცვალე, შობაა და ყველამ უარი მითხრა, გთხოვთ, ნუ გამაგდებთ“, — გოგამ ჯერ მაყურებელს შეხედა, შემდეგ №0578-ს.

მაყურებელი ჩაფიქრდა, შემდეგ გოგას ჯიქურ შეხედა და უთხრა — „კარგი, იდექი, ოღონდ ერთი პირობით. ზიარებაზე ბოლოს მიხვალ. პატიმრებმა რომ დაინახონ, ჯერ ოფიცერი ეზიარა და მერე იმ ოფიცრის გალოკილი კოვზი უნდა ჩაიდონ პირში, შეიძლება სასწაული მოხდეს. ამიტომ, ბოლოს მიხვალ ზიარებაზე, სხვა ვარიანტი არ განიხილება“.

გოგამ უხმოდ დააქნია თავი, მერე კი №0578-ს სთხოვა, იქნებ ჩემს გვერდით დადგე, ისე მიყურებს ეს ხალხი, ცოტა არ იყოს, მეშინიაო. პატიმარი №0578-ც გოგას გვერდში ღიმილით გაჩერდა.

ღამის ორ საათზე მაყურებელი სამლოცველოდან გავიდა, მალევე დაბრუნდა და სანთლები მოიტანა.

„საპატრიარქოდან გამოაგზავნეს ამ დილით. ნაკურთხია, დაარიგეთ“, — გასცა ბრძანება მაყურებელმა და პატიმრებმაც ჩამორიგება დაიწყეს. როცა ჯერი გოგაზე მიდგა, მას სანთელი არ მისცეს.

„რას აკეთებ, მიეცი სანთელი“, — შეუბღვირა №0578-მა „კოლეგას“.

„მაყურებელმა თქვა არაო და არ მივცემ“, — მშვიდად უპასუხა პატიმარმა.

№0578-მა თვალებით მოძებნა მაყურებელი. როცა მისგანაც უსიტყვო უარი მიიღო, სამლოცველოდან გავიდა და თან გოგა გაიყოლა.

„არ არის პრობლემა, არა უშავს“, — ჩუმად ეუბნებოდა გოგა. №0578 თავის საკნისკენ უხმოდ მიდიოდა. როცა საკანს მიუახლოვდა, გოგას მიუბრუნდა და თითქმის ბრძანების კილოთი უთხრა — გააღე.

„უფლება არ მაქვს, ლაშამ რომ გაიგოს, სამსახურიდან გამაგდებს“, — ლამის ტირილი დაიწყო გოგამ.

„გააღე-მეთქი. ლაშას მე ავუხსნი, თუ რამეს იტყვის, მაგრამ არაფერს იტყვის, დამიჯერე“, — უთხრა №0578-მა. გოგამაც კარი უსიტყვოდ გახსნა.

№0578 კამერაში შევიდა, ზუსტად ათ წამში უკან დაბრუნდა და გოგას საკანი დააკეტინა.

„ეს სანთელი დავით გარეჯის მონასტრის წინამძღოლმა, მამა ილარიონმა მაჩუქა, იერუსალიმიდანაა ჩამოტანილი. ვუფრთხილდებოდი და აგერ, შენთვის ვინახავდი თურმე. დაანთე, შეგეწევა“, — ღიმილით უთხრა გოგას და ხელში მოთეთრო-მოცისფრო სანთელი ჩაუდო.

სამლოცველოში დაბრუნებულებს მაყურებელმა ცალი თვალით გახედა და გაოცდა. ოფიცერს ხელში ის სანთელი ეკავა, რომელსაც №0578-ს ნახევარი ზონა სთხოვდა, მაგრამ ის სულ უარზე იყო. სხვა პატიმრებმაც დაინახეს, რომ ოფიცერს ხელში განსხვავებული სანთელი ეკავა. თითქმის ყველამ იცნო მამა ილარიონის მიერ №0578-სთვის მიტანილი სანთელი და სამლოცველოში ისეთი ჩურჩული ატყდა, მამაომ ხმამაღლა თქვა, ვისაც ლოცვა არ სურს, გარეთ გავიდესო.

„რა გეშველება ახლა? ხომ ხედავ, როგორ მგლებივით გიყურებენ?“, — ჩურჩულით უთხრა №0578-ს გოგამ.

„ამათ რა ეშველებათ, თორემ მე ვუშველი თავს“, — გაუღიმა პატიმარმა.

ლოცვის დასრულების შემდეგ პატიმრები საკნებში გადაანაწილეს, თუმცა მაყურებელმა მოასწრო და №0578-ს გადაულაპარაკა, დილას რომ გავიღებით, ჩემთან ჩამოდიო. დილით №0578-მა მაყურებლის კამერა შეაღო.

„ჩვენი ძმა ხარ, ბაზარი არაა, მაგრამ რა პონტია, ძაღლი რომ დამასტე?!“ - პირდაპირ ჰკითხა მაყურებელმა.

„ჯერ ერთი, ძაღლი კი არ დავმასტე, ადამიანს, რომელიც სალოცავად იყო მოსული, ზიარება უნდოდა, სანთელი მივეცი. მეორე — კეთროვანივით ბოლოს რომ აზიარე ის კაცი, ხომ დაინახე, მამაომ როგორი თვალით შემოგვხედა, ცხოველებივით მოვიქეცით. სამლოცველოში ძაღლი და მამაძაღლი არ უნდა გაირჩეს, იქ ყველა ერთია და ეს შენ ჩემზე უკეთ იცი, მაგრამ ქურდული კოდექსი არ გაძლევს მაგის უფლებას, სხვაგვარად მოიქცე“, — უთხრა №0578-მა.

„კოდექსი არა, ქურდული გაგება, ძმაო. ისე გამოვიდა, რომ შენ ჩემს წინააღმდეგ ნახვედი და ამას შენც ხვდები“, — უთხრა მაყურებელმა.

„შენს წინააღმდეგ კი არ წავედი, შევეცადე, ადამიანს, რომელსაც შობის ღამეს სანთლის დანთება, აღსარება და ზიარება სურდა, დავხმარებოდი. თუ ფიქრობ, ქურდულს ამით რამე ვავნე, პასუხს ვაგებ, მაგრამ შენც იცი, მართალი ვარ და ზუსტად ისე უნდა მოვქცეულიყავი, როგორც მოვიქეცი. და რაც მთავარია, ახლა გოგას რაც უნდა ვთხოვო, გამკეთებელია. მადლიერი დარჩა, ვალშია ჩვენთან და რა უნდა გავაკეთოთ, შენ მოიფიქრე“, — ღიმილით უთხრა №0578-მა.

„მოიცათ რა, რა დროს ეგ არის, მარხვა მორჩა და იმ ისტორიას მოვყვები, ამას წინათ რომ დავიწყე და არ დავასრულე“, — საუბარში კახეთის რეგიონის მაყურებელი ჩაერია.

„რომელი ისტორია, ქალებზე რომ ყვებოდი და მერე გაგახსენდა — მარხვააო?!“, — გაეღიმა ზონის მაყურებელს.

„ჰო, ეგა. იმას ვამბობდი, ქალს რომ გავხადე, ძუძუს თავები გოჭის დინგივით ვარდისფერი ჰქონდა, გადავირიე კინაღამ და...“

„რა ჰქონდა?! ქალის დანახვაზე გოჭის დინგი რამ გაგახსენა შენ თუ სრულ ჭკუაზე ხარ?!“ — გაოცდა №0578.

„ეე, გონზე არა ხარ, რა. შენ ახლადდაბადებული გოჭის დინგი გინახავს? იცი როგორი დინგი აქვს, შეიძლება ჩაყლაპო“, — ოცნებებში წავიდა კახელი კაი ბიჭი.

„კარგი, გასაგებია, რომ ახლადდაბადებული გოჭი საყვარელია, მაგრამ მაგის დინგს ძუძუებს როგორ ადარებ, მაინტერესებს?! მართლა გაგიჟდი შენ ამ რვა წელში. ღამე ქალი გესიზმრება თუ გოჭი, გულახდილად თქვი“, — გაეცინა №0578-ს.

„ღამე სიზმარი აგერ უკვე მესამე წელია არ მინახავს. ისე, მანამდე ის საქმეები მესიზმრებოდა, რომლებიც გამიკეთებია და ყველაზე ხშირად ის, რომელზეც დამიჭირეს. იცი რა იდიოტური შეცდომა დავუშვი?! სახლში შევედი და ვიღაც ბებოს ეძინა. ბინა რომ გავასუფთავე, მაშინ შევნიშნე, რომ მძინარეს ყელზე დიდი ოქროს ჯაჭვი ეკეთა. შეხსნა გადავწყვიტე, გაეღვიძა და იმხელა ხმაზე იკივლა, კორპუსს გაეღვიძა. გარეთ გამოსვლა რომ დავაპირე, კარის საკეტი ვერ გავხსენი, არადა, ფანჯრიდან შევძვერი და გამოვსულიყავი ისევ ფანჯრიდან. ათი წუთი ვხსნიდი კარს, ათი წუთი კიოდა ის ქალი და როცა გავხსენი, კართან უკვე პოლიცია მელოდა. ახლაც არ ვიცი, რატომ არ გადავძვერი ისევ ფანჯრიდან“, — დანანებით თქვა კახელმა

„და იმ ქალის ძუძუები როგორი იყო?!“ — გაეღიმა მაყურებელს.

„ეს. თქვენ გეცინებათ და რვა წელი რომ იჯდები, გოჭის დინგს კი არა, შოთას უკანალს დაუწყებ თვალიერებას“, — ნაღვლიანად თქვა კახელმა.

„შენ ხუმრობ და მაგ შოთას მართლა საინტერესო უკანალი აქვს“, — სიცილით თქვა მაყურებელმა.

„მაგას გეუბნები მეც... ცხოველებივით ვიქცევით, ცხოველებივით“, — ჩუმად თქვა №0578-მა და კამერიდან გავიდა.

# კახი კალაძემ სამტრედიის მოსახლეობას შობის დღესასწაული კონცერტით მიულოცა

ენერგეტიკის მინისტრისა და ვიცე-პრემიერის, კახი კალაძის მხარდაჭერით სამტრედიაში საშობაო კონცერტი გაიმართა. როგორც ენერგეტიკის მინისტრმა განაცხადა, ახალი წლის დღეებში მუნიციპალიტეტში კონცერტის ჩატარება უკვე ტრადიციაა, რომელიც წელსაც არ უნდა დარღვეულიყო. ვიცე-პრემიერმა ღონისძიება პირადად დააფინანსა.

**„გილოცავთ დღევანდელ დღეს. მინდა სამტრედიიდან, ამ ლამაზი ადგილიდან შობა მივულოცო სრულიად საქართველოს. ჯანმრთელობას, ბედნიერებას და დღეგრძელობას გისურვებთ. ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქისთვის 2015 წელი ყოფილიყოს წარმატებული. კიდევ ერთხელ გილოცავთ შობას, ახალ წელს და სასიამოვნო საღამოს გისურვებთ. ძალიან მიყვარხართ“,** — ამ სიტყვებით მიესალმა კახი **კალაძე** შეკრებილ მოსახლეობას.

კონცერტში ქართული ესტრადის ვარსკვლავები მონაწილეობდნენ: ჯგუფი „ბანი“, ანსამბლი „მეტეხი“, სოფო ბედია, ანი კეკუა, თიკა მახალდიანი და „ქუჩის ბიჭები“.

**ზურა ხაჩიძე,** მომღერალი: **„მიხარია, რომ დღეს აქ ვარ. მიყვარს ეს ქალაქი. მზად ვარ ჩემს კოლეგებთან ერთად მოსახლეობას საშობაო განწყობა შევუქმნა. იმედია, მოსახლეობას კონცერტი მოეწონა“.**

მოსახლეობას რომ კონცერტი ძალიან მოეწონა, ამაზე მსმენელის ამაღლებული განწყობა და აპლოდისმენტებიც მოწმობდა.

**ნინო ხუჭუა,** ადგილობრივი მცხოვრები: **„ძალიან მიხარია, რომ დღეს ეს ღონისძიება ჩატარდა. ბატონი კახი ყოველთვის ცდილობს, უყურადღებოდ არ დაგვტოვოს. რეგიონში ასეთი კონცერტების მოწყობა უფრო სასიხარულოა. ყოველთვის არ გვაქვს საშუალება, დედაქალაქში ვიაროთ კონცერტებზე. ნამდვილად დაუვიწყარი შობის დღესასწაული გვაქვს“.**

**ლაშა კოხრეიძე,** ადგილობრივი მცხოვრები: **„ახალგაზრდობას გვინდა გართობა. ბატონ კახის დიდი მადლობა, რომ დღეს ეს მომღერლები ჩამოიყვანა. ძალიან კარგ დროს ვატარებთ. ძალიან მაგარი კონცერტია“.**

**თამარ ახობაძე,** ადგილობრივი მცხოვრები: **„კახი კალაძეს უყვარს სამტრედია და ეს დღესაც გამოხატა. მართლაც, სულ ცდილობს, კარგი გააკეთოს რეგიონისთვის. ჩვენც ძალიან გვიყვარს კახი. მინდა, მას პირადად მადლობა გადავუხადო და შობის დღესასწაული მივულოცო. დიდი მადლობა მას ასეთი დღისთვის“.**

კონცერტი ნიაზ დიასამიძის და ჯგუფი „33ᵃ“-ს გამოსვლით დასრულდა.

# წინა ნომერში გასუდლი სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

### აღვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 5 | 1 | 7 | 2 | 3 | 4 | 9 | 6 |
| 9 | 7 | 4 | 1 | 8 | 6 | 5 | 3 | 2 |
| 3 | 6 | 2 | 5 | 4 | 9 | 1 | 8 | 7 |
| 2 | 4 | 7 | 9 | 6 | 5 | 3 | 1 | 8 |
| 5 | 1 | 3 | 4 | 7 | 8 | 2 | 6 | 9 |
| 6 | 9 | 8 | 3 | 1 | 2 | 7 | 5 | 4 |
| 4 | 8 | 9 | 2 | 3 | 1 | 6 | 7 | 5 |
| 7 | 3 | 6 | 8 | 5 | 4 | 9 | 2 | 1 |
| 1 | 2 | 5 | 6 | 9 | 7 | 8 | 4 | 3 |

### სცანღარცი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 5 | 2 | 6 | 9 | 1 | 3 | 8 | 7 |
| 8 | 6 | 3 | 5 | 7 | 4 | 2 | 1 | 9 |
| 1 | 9 | 7 | 8 | 2 | 3 | 5 | 6 | 4 |
| 7 | 3 | 9 | 4 | 6 | 8 | 1 | 5 | 2 |
| 2 | 4 | 6 | 1 | 5 | 9 | 8 | 7 | 3 |
| 5 | 1 | 8 | 7 | 3 | 2 | 4 | 9 | 6 |
| 3 | 2 | 5 | 9 | 8 | 7 | 6 | 4 | 1 |
| 9 | 8 | 4 | 2 | 1 | 6 | 7 | 3 | 5 |
| 6 | 7 | 1 | 3 | 4 | 5 | 9 | 2 | 8 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 3 | 9 | 6 | 2 | 8 | 7 | 5 | 1 |
| 6 | 5 | 2 | 1 | 9 | 7 | 8 | 4 | 3 |
| 1 | 8 | 7 | 5 | 4 | 3 | 9 | 2 | 6 |
| 7 | 6 | 3 | 4 | 5 | 2 | 1 | 9 | 8 |
| 5 | 4 | 1 | 3 | 8 | 9 | 6 | 7 | 2 |
| 2 | 9 | 8 | 7 | 1 | 6 | 5 | 3 | 4 |
| 3 | 2 | 6 | 9 | 7 | 1 | 4 | 8 | 5 |
| 9 | 1 | 5 | 8 | 3 | 4 | 2 | 6 | 7 |
| 8 | 7 | 4 | 2 | 6 | 5 | 3 | 1 | 9 |

### ექსკლუზიური

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 5 | 8 | 2 | 9 | 6 | 7 | 4 | 3 |
| 9 | 7 | 4 | 5 | 3 | 1 | 8 | 6 | 2 |
| 6 | 2 | 3 | 7 | 4 | 8 | 1 | 9 | 5 |
| 5 | 1 | 2 | 4 | 8 | 9 | 6 | 3 | 7 |
| 4 | 9 | 7 | 6 | 5 | 3 | 2 | 8 | 1 |
| 8 | 3 | 6 | 1 | 2 | 7 | 9 | 5 | 4 |
| 2 | 8 | 5 | 9 | 1 | 4 | 3 | 7 | 6 |
| 3 | 6 | 1 | 8 | 7 | 5 | 4 | 2 | 9 |
| 7 | 4 | 9 | 3 | 6 | 2 | 5 | 1 | 8 |

მე-6 გვერდი: 1. ბეთლემი; 2. ევლოგია; 3. ლელუში; 4. მაიორი; 5. კვერცხი; 6. ვარიანი; 7. როტონდა; 8. ხონი; 9. ალილუია; 10. „ინფინიტი“; 11. ეპიტაფია; 12. იპოკრენე; 13. პროტონი; 14. გერუსია; 15. ინსინუაცია; 16. აბლაბუდა; 17. გიშერი; 18. აგნი; 19. ბენდენა; 20. ფაუ; 21. პიპინია; 22. აიოვა; 23. ალი; 24. იატაკი; 25. იოფე; 26. ამფორა; 27. სია; 28. სარი; 29. ლა; 30. კორეა; 31. ალილო; 32. ფანდური; 33. პა; 34. ნისლი; 35. ნოა; 36. ფერფლი; 37. პოუნცია; 38. ბუი; 39. რეა; 40. ოინი; 41. ნეი; 42. ლია; 43. ავჭალა; 44. ულუსი; 45. ტაი; 46. რა; 47. ნეო; 48. კულონი; 49. ჭიქა; 50. ბაბაჭუა; 51. შოუ; 52. დუ; 53. მნე; 54. ირი; 55. კიმ; 56. ქონი; 57. აზუ; 58. ანცი; 59. ჩარდაში; 60. ანემია; 61. ნილსი.

მე-10 გვერდი: 1. ნოუტბუკი; 2. კაა; 3. იმიტაცია; 4. ტრიოდი; 5. იაკობი; 6. კოტე; 7. შეიკერი; 8. შარშან; 9. პა; 10. ალიანსი; 11. არი; 12. ეკუმენიზმი; 13. ხბო; 14. ლომე; 15. იავა; 16. ბუკი; 17. კატა; 18. იორი; 19. გორკი; 20. გუდრონი; 21. მინსკი; 22. გრანტი; 23. სკოლა; 24. ანა; 25. ლაინერი; 26. ილია; 27. კრატერი; 28. რეკეტი; 29. ტაბურეტი; 30. რენეგატი; 31. გო; 32. ვილიამსი; 33. ინო; 34. ალოე; 35. მონადირე; 36. კენია; 37. ვიალი; 38. რომი; 39. იკებანა; 40. ეკი; 41. ატა; 42. მერფი; 43. ნერონი; 44. სიდრი; 45. მარგარიტა; 46. იდიია; 47. ბუა; 48. შიო; 49. ატელიე; 50. მანგო; 51. ბზარი; 52. ალ; 53. ალი; 54. ჯემალ; 55. პაი; 56. მუარი; 57. მი; 58. ბია; 59. იდეა; 60. „ტატა; 61. ჯიპი; 62. ფა; 63. იზაი; 64. ლი; 65. ობი.

მე-12 გვერდი: 1. მანტია; 2. აღვირი; 3. ტოსტერი; 4. კომეტა; 5. ორიონი; 6. ქვისლი; 7. „ექსელი“; 8. დუბარა; 9. ფედრა; 10. მიქსტი; 11. ატამანი; 12. ოსანა; 13. თითა; 14. „ფერარი“; 15. ანალოე; 16. ერიდა; 17. პიურე; 18. გოლფი; 19. ამანი; 20. ოგინსკი; ,21. სიტი; 22. ბირმა; 23. მეი; 24. ლისაბონი; 25. ილიონი; 26. რქა; 27. ლისტი; 28. ლიმონი; 29. აგა; 30. რურკი; 31. ომარი; 32. ოინი; 33. პიერო; 34. აგრიპა; 35. აია; 36. კრუიფი; 37. ბაცილა; 38. ინდი; 39. ლაიმა; 40. თაგორი; 41. იმპალა; 42. რაკია; 43. სტეინბეკი; 44. ადლი; 45. მურადა; 46. მარკ; 47. „ნივეა“; 48. „ქლოე“; 49. აინი; 50. სირ; 51. ქვილთი; 52. ნილოსი; 53. იეთიმ; 54. ლიგა; 55. ვორონეჟი; 56. მიტო; 57. ოლღა; 58. ტერფი; 59. „ჩოჩარა“; 60. პოლო; 61. ორიგამი; 62. ლია; 63. ხარჩო; 64. ნოე; 65. ისლი; 66. ნო; 67. იოდი; 68. გუი; 69. ოსტი; 70. ნოღაი; 71. ლასო; 72. სკა; 73. იანკი; 74. კილიტა; 75. ბის; 76. სიგარა; 77. არა; 78. დო; 79. ლანჩი; 80. ოსი; 81. მაჟალო; 82. კონკორდია; 83. ალაო; 84. დია; 85. და; 86. მაწონი; 87. მისისიპი; 88. ინა; 89. აპო.




# ყველაზე უჩვეულო საშობაო კერძები



ყველაზე გავრცელებული საშობაო ვახშამი შემწვარი ხორცი და ბოსტნეულია, დესერტად კი ტკბილი რულეტი. თუმცა, თუ თვალს გადაავლებთ, ამ დღესასწაულზე რას მიირთმევენ ქრისტიანები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, მეტად გაოცდებით. მაგალითად, შორეული გრენლანდიის მკვიდრნი საშობაო სუფრაზე ტრადიციულ ესკიმოსურ კერძებს — მაკტაკსა და კივიაკს მიირთმევენ. მაკტაკი — ვეშაპის გაყინული კანია ქონით. მას კუბიკებად ჭრიან და ასე მიირთმევენ როგორც გამდნარ, ასევე გაყინულ მდგომარეობაში. კივიაკი კი განსაკუთრებით ეგზოტიკური კერძია. მას ალბათ, მხოლოდ მოყვარულები თუ მიირთმევენ, რადგან შემდეგნაირად მზადდება: თავმოჭრილი სელაპის სხეულში იქ მობინადრე ჩიტებს ტენიან. სხეულს ბოლომდე ქონით ამოავსებენ და რამდენიმე თვით მიწაში მარხავენ. მერე ამოთხიან და ფრინველის ხორცს მიირთმევენ ჰაერზე, რადგან ამ დელიკატესს, როგორც ხვდებით, მეტად სპეციფიკური სუნი აქვს.

ამომავალი მზის ქვეყნის მცხოვრებთა უმრავლესობა ბუდისტი ან სხვა მიმდინარეობის წარმომადგენელია და წესით, შობას არ უნდა აღნიშნავდნენ. თუმცა, ყოველ დღესასწაულზე ისინი ოჯახებით მიდიან სწრაფი კვების რესტორანში KFC, რათა ქსელის საფირმო კერძი — შემწვარი ქათამი მიირთვან. ქრისტიანული დღესასწაულის აღნიშვნის ტრადიცია იაპონიაში KFC-ს მარკეტინგული კამპანიის წყალობით გაჩნდა. 1974 წელს სარეკლამო რგოლი გამოვიდა, რომელშიც უცხოელების ჯგუფი უშედეგოდ ცდილობდა, ტოკიოში საშობაო ინდაური ეშოვა. ამ საქმეში მათი დამხმარე სწორედ სწრაფი კვების რესტორანი აღმოჩნდა, სადაც სტუმრებს შემწვარი ქათამი მიართვეს.

სმალახოვეს — ცხვრის თავისგან მომზადებულ კერძს ტრადიციულად, ნორვეგიაში ღარიბები ჭამდნენ, რომელთაც უფრო ძვრფასი ხორცის ყიდვის საშუალება არ ჰქონდათ. კერძის მოსამზადებლად ცხვრის თავს ამარილებენ, მერე გამოყავთ და აშრობენ. ამის შედეგ რამდენიმე საათი ხარშავენ. სუფრაზე ცხვრის თავი გარნირთან ერთად — კარტოფილის ან თალგამის პიურესთან ერთად მიაქვთ. ზოგირთი ადგილობრივი გურმანი თვალებსა და ტვინსაც ჭამს, რომელიც თავის ქალიდან კოვზით ამოაქვთ.

შვედეთში საშობაო სუფრაზე მიაქვთ კერძი Janssons frestelse („იანსონის ცდუნება“). სახელწოდება ოპერის მომღერალ ადოლფ იანსონს უკავშირდება, რომელიც ჭამის დიდი მოყვარული და ნამდვილი გურმანი იყო. ტრადიციული „ცდუნება“ გამომცხვრი კრტოფილია დამარინებული ანჩოუსით. დღეს მის მოსამზადებლად ანჩოუსების ნაცვლად, ხშირად „კილკას“ ან შპროტს იყენებენ.

შორეულ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასა და ზოგიერთ აფრიკულ ქვეყანაშიც, საშობაო სუფრაზე, ევროპელების გადასახედიდან, ალბათ, ყველაზე უჩვეულო დელიკატესს მიირთმევენ. შემწვარი მუხლუხა ჭიები (ადგილობრივები მას „მოპანეს“ უწოდებენ) აქ ჩვეულებრივ ხორცზე რამდენჯერმე ძვირია. მუხლუხებს აშრობენ, აკონსერვებენ ზამთრისთვის და რასაკვირველია, ახალსაც წვავენ საზეიმო სუფრისთვის. თანაც, მათი მოგროვების სეზონი საშობაო დღესასწაულებს ემთხვევა.

# სუდოკუ

## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | | | | | 3 | | 9 | 6 |
| 9 | | | 1 | 8 | | | | |
| | | 2 | | 4 | | 1 | | 7 |
| 2 | 4 | | 9 | | | | | |
| | | | | 7 | | | | |
| | | | | | 2 | | 5 | 4 |
| 4 | | 9 | | 3 | | 6 | | |
| | | | | 5 | 4 | | | 1 |
| 1 | 2 | | 6 | | | | | 3 |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | 3 | | | 4 | |
| | | 6 | 5 | | | | | 8 |
| 3 | 2 | | 9 | | | | | 5 |
| | | 5 | | | | | 7 | |
| 6 | | | | 1 | | | | 2 |
| | 4 | | | | | 8 | | |
| 1 | | | | | 7 | | 8 | 3 |
| 8 | | | | | 3 | 4 | | |
| | 5 | | | 4 | | | | |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | | | 5 | | | | | 3 |
| | | | | | | | 1 | |
| | | | 6 | | | 9 | 5 | 8 |
| | | | | 6 | 9 | | 4 | 7 |
| 8 | | 7 | 3 | 5 | 4 | 1 | | 9 |
| 4 | 1 | | 7 | 8 | | | | |
| 7 | 4 | 3 | | | 6 | | | |
| | 9 | | | | | | | |
| 5 | | | | | 7 | | | 4 |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 5 | | | | 3 | | 9 | 6 |
| | | | | | | 8 | 7 | |
| 6 | | | 2 | | | | | 3 |
| | | 4 | 3 | | 7 | | | 5 |
| | | 3 | 5 | | 1 | 7 | | |
| 7 | | | 9 | | 6 | 4 | | |
| 5 | | | | | 2 | | | 8 |
| | 3 | 1 | | | | | | |
| 9 | 7 | | 1 | | | | 6 | |

# კარაქიანი ყავა – ახალი პოპულარული სასმელი

დასავლეთში ახალი მოდა მკვიდრდება — კარაქიანი ყავა. მიიჩნევენ, რომ ის ადამიანს ენერგიით ავსებს, ეხმარება წონის დაკლებაში და საშუალებას აძლევს, იყოს ყურადღებიანი. აშშ-სა და ბრიტანეთის ყავის სახლების ქსელებმა უკვე შეიტანეს ის მენიუში. კარაქიანი ყავის რეცეპტი ცხოვრების ჯანსაღი წესის გურუმ დეივ ასპრეიმ გამოაქვეყნა, რომელმაც ტიბეტში მოგზაურობისას გასინჯა ჩაი კარაქით, რომელიც იაკის რძიგან იყო გაკეთებული. ცხიმი ყავაში გადაიტანა და „ცხიმიანი შავი“ და „პალეოლითური ყავა“ უწოდა. დეივის თქმით, ასეთი სასმელი ადამიანს ენერგიით დამუხტავს 6 საათის განმავლობაში, სხეული კი კალორიებს მთელი დღის განმავლობაში დაწვავს, პლუს, უმჯობესდება კოგნიტიური ფუნქციები. კარაქიანი ყავა კი ასე მზადდება — იღებენ ერთი-ორ წვეთ ზეტს ტრიგლიცერიდებით, რომელიც ქოქოსის რაფინირებული ზეთისგან მიიღება, უმატებენ ორ ჩაის კოვზ გამდნარ, უმარილო ნღების კარაქს და ყველაფერი ქაფის მიღებამდე ითქვიფება. მართალია, ასეთ სასმელს საკმაოდ სპეციფიკური გემო აქვს — ყავა ძალიან ცხიმიანი ხდება, თანაც, ყველა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ სასმელი წონაში ვერ მოგვაკლებინებს, პირიქით, შეიძლება ქოლესტერინი დონე მოამატოს. ეს კი გულის დაავადებებისა და ინსულტის რისკს გაზრდის.

# რისი ყიდვა შეიძლება ერთ დოლარად?

დღეს ამერიკული ვალუტა თითქმის მთელ მსოფლიოში კვლავ მყარდება. მოდით გავიგოთ, რისი ყიდვა შეგვიძლია სხვადასხვა ქვეყანაში მხოლოდ ერთ დოლარად. ერთადერთი ქვეყანა ევროპაში, სადაც ამ ფასად ვერაფერს იყიდით, ნორვეგიაა. ავსტრალიაში ერთ დოლარად შეგიძლიათ ილაპარაკოთ ტელეფონით ერთი წუთი, ან დატოვოთ ხმოვანი მესიჯი. მექსიკაში ამ მიზერულ ფასად 48 ბანანს იყიდით (რაც ჩვენს ფასებთან შედარებით, მშვენიერია), კანადაში — ეკოლოგიურად სუფთა ერთ ცალ ვაშლს. ბელგიაში ერთი დოლარი — ეს ერთი შეფუთვა საღეჭი რეზინის ფასია, საუდის არაბეთში კი — ორ კილომეტრზე ტაქსით მგზავრობის საფასური. მოლდოვაში ერთ დოლარად ერთი კილოგრამი ყურძენი მოგივათ, განჯის კომუნაში კი, რომელიც იტალიაში, კუნძულ სიცილიაზე მდებარეობს — მთელი სახლი. ფინეთში აღნიშნული თანხა დაგიჯდებათ საზოგადოებრივი ტუალეტით სარგებლობა, ამდენივე ღირს დანიაში შოკოლადის ერთი ბატონი. ჩეხეთში ერთ დოლარად შეგიძლიათ სუპერმარკეტში სამი ბოთლი ლუდი შეიძინოთ, ჩინეთში კი — მხოლოდ ერთი ბოთლი, ისიც ადგილობრივი წარმოების. ნისლიან ალბიონზე ერთ დოლარად მხოლოდ მარინადში ჩადებულ კვერცხს იყიდით, მეზობელ ირლანდიაში კი — ჩიფსების პატარა პაკეტს. შვეიცარიაში ერთ დოლარად შეგიძლიათ გემო გაუსინჯოთ სახელგანთქმულ ადგილობრივ ყველს, პორტუგალიაში კი ეს თანხა საშუალებას მოგცემთ, ერთი ფინჯანი ესპრესოთი გაინებივროთ თავი.

# რაპუნცელების ოჯახი ამერიკიდან

აშშ-ში, ილინოისის შტატში რაპუნცელების ოჯახი ცხოვრობს — დედისა და ქალიშვილების თმის სიგრძე მთლიანობაში 4 მეტრია. ტერე ლინი მოზარდობიდან არ იჭრის თმას. მისმა თმებმა მოხიბლა მომავალი მეუღლე და დღემდე აღტაცებულია ცოლის თმის სიგრძითა და სილამაზით. ამის შემხედვარე ქალიშვილებმაც გადაწყვიტეს თმის გაზრდა და აღარც ისინი იჭრიან. ტერე ლინი საკუთარ ქალაქში „ყველაზე გრძელი ცხენის ბოლოს“ კონკურსების მარადიული გამარჯვებულია. მისი თმა ახლა 1,5 მეტრია. უფროსი ქალიშვილის თმა 73 სანტიმეტრია, შუათანა მხოლოდ ერთი სანტიმეტრით ჩამორჩება, 6 წლის გოგონამ კი უკვე 52,5 სანტიმეტრის თმა გაიზარდა. ოჯახში კიდევ ბიჭი იზრდება, რომელიც არ მონაწილეობს ამ „შეჯიბრში“ და ერთი წლის გოგონა, რომელსაც ალბათ, ეს ყველაფერი ელის. ასეთი სიგრძის თმის მოვლა ტიტანურ ძალისხმევას მოითხოვს. თავის დაბანისას ლინი იძულებულია მუხლებზე დადგეს, რადგან სველი თმის სიმძიმეს ვერ უძლებს. ყოველი დაბანისას მას ოთხი ბოთლი კონდიციონერი სჭირდება. გარდა ამისა, თმა ხან ავტომანქანის კარში ყვება, ხან ბავშვები დგებიან ფეხით, მაგრამ ტერი ჯიუტად არ იჭრის თმას.

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

# ბანანი სასურველი შიგთავსით

ყველა ადამიანს არ უყვარს ბანანი, ის რბილი, ბოჭკოვანი და არც ისეთი ტკბილია, როგორც სხვა ხილი. ამიტომ ერთმა არგენტინელმა გამომგონებელმა იფიქრა და უჩვეულო მოწყობილობა Destapa Banana გამოიგონა, რომელიც საშუალებას იძლევა, კანიანი, გაუსუფთავებელი ხილი შეავსოთ თქვენთვის სასურველი შიგთავსით. სპეციალური მოწყობილობა ბანანში ვერტიკალურ ნახვრეტს აკეთებს, რომელშიც ასხამენ ტკბილ მასას — შოკლადს, შედედებულ რძეს, კარამელს, სიროფს და სხვას. სამწუხაროდ, ოფიციალურად ეს მოწყობილობა ჯერ გაყიდვაში არ არის, თუმცა, მისი ავტორის განცხადებით, აუცილებლად გაზრდის ბანანის მოხმარების დონეს მსოფლიოში.

1. თამაში: ნახატის აწყობა ფრაგმენტებიდან
2. ზღვისპირა სოფელი ზუგდიდის რაიონში
3. ფშაველების მთავარი სალოცავი
4. საქონლის საერთო წონა
5. რუსეთის ფულის ერთეული
6. იაპონიის დედაქალაქი
7. მწყობრი ნაბიჯით სვლა
8. სურნელოვანი მწვანილი
9. დებულება, რომელიც არ საჭიროებს დამტკიცებას
10. ანტიკური საანგარიშო დაფა
11. სოფლური სახლი ჩინეთში
12. ტაილანდის ძველი სახელწოდება
13. მცენარეთა სამყარო
14. მიწის საზომი ერთეული ინგლისში
15. ბულგარეთის დედაქალაქი
16. ვარსკვლავის წაწვეტებული ნაწილი
17. ბალახის ჩრდილი
18. ევროპული ფეხბურთის სახელწოდება აშშ-ში
19. რეგულარული შემოსავალი კაპიტალიდან
20. ცხენების ჯოგი
21. რუმინეთის ეროვნული ვალუტა
22. მავთულის გამოსაყვანი ხელსაწყო
23. ცეცხლის მნათი ნაწილი
24. შრილანკას დედაქალაქი
25. ერთფეროვანი, მოსაწყენი ცხოვრება
26. ფრანგული ყურძნის ჯიში
27. ინდიელის და ზანგის ქორწ. შობილი ადამიანი
28. თურქეთის საკურორტო ქალაქი
29. დიდი გარეული ფრინველი
30. დღეის მომდევნო დღეს ანუ როდის?
31. „გირჩებიანი“ ხვიარა ბალახი
32. მდინარე ჩილეში
33. გლადიოლუსის ქართული სახელწოდება
34. მტკნარი წყლის დელფინი
35. ჩინური ჭინჭარი
36. რბილი, ჭედადი ლითონი
37. დიაოხის ერთ-ერთი მეფე
38. გერმანიის საფეხბურთო კლუბი
39. კისრის პირველი მალა
40. მათემატიკური მრავალწევრი
41. ბითიური ამირანის ერთ-ერთი ძმა
42. ტროიაში ხის ცხენის შეკვანის მოწინააღმდეგე ქურუში
43. ხაჭაპურის სახეობა
44. ისტ. მხარე სამხრეთ საქართველოში
45. ნიკო ფიროსმანის შინაურული სახელი
46. ქალ-ვაჟის შეუღლების აღსანიშნავი ლხინი
47. ხელის საგრილობელი
48. სალამურას მეგობარი გოგონა
49. შხამიანი ბუჩქოვანი მცენარე
50. ქალაქი საფრანგეთში
51. გათენება, გარიჟრაჟი
52. ტროას უკანასკნელი მეფე
53. ცხოველთა მეფე
54. ხოხბის ბარტყი
55. ბუდისტური საკულტო ნაგებობა
56. წამლის ბურთულა
57. მრგვალი ფორმის წვრილი კანფეტი
58. ინგლისელი მუსიკოსი დევიდ ...
59. მეწისქვილე „ოთარაანთ ქვრივში“
60. მცდართმთაერის პირადი მცველი აღმოსავლეთში
61. ფეხბურთ. ... მალდინი
62. სპორტული ფირმა
63. კოლხი მედეას დედა
64. შინაური ცხოველი
65. ევკალიპტის დათვი
66. ფლეიტის მსგავსი თიხის ჩასაბერი საკრავი
67. ისტორ. ოლქი საფრანგ.
68. მაუგლის პითონი
69. ორსახოვანი ღმერთი რომაულ მითოლოგიაში
70. ერთეულოვანი ვექტორი
71. რუხი თუთიყუში
72. ჩინელთა ბელადი
73. ბაშკირეთის დედაქალაქი
74. ინდიელთა ტომი
75. ჯინსის ნაწარმის ამერიკული ფირმა
76. იაპონური კლასიკური თეატრის სახეობა
77. გაზაფხულის ყვავილი
78. ღრმა და შეუხორცებელი ჭრილობა
79. მუხის ნაყოფი
80. „გაზაფხული შემოსულა, ...!“
81. დაბალი ბუსუსები ქსოვილზე
82. ყველაზე დიდი სისხლძარღვი
83. მუსლიმანთა სასულიერო სასწავლებელი
84. პერსევსის დედა ბერძნულ მითოლოგიაში
85. მსახიობი რასელ ...
86. ადამიანის სამეტყველო ორგანო

# ეკოლოგიური ავტობუსი

ყველამ იცის, რომ ადრე თუ გვიან, პლანეტაზე ნავთობის მარაგი ამოიწურება, ამიტომ ცდილობენ აქტიურად აითვისონ ენერგიის ალტერნატიული წყაროები. ბრიტანულ ქალაქ ბატში პირველი ავტობუსი დადის, რომელიც ადამიანის ესკრემენტებისა და საკვები ნარჩენებისგან მიღებულ საწვავზე მუშაობს. პროცესის მეშვეობით, რომელსაც „ანაერობული დუღილი“ ეწოდება, ნაგვისა და ფეკალური მასებიდან წვისთვის ვარგისი ბიომეთანი მიიღება. ამასთან, ასეთი გაზის წვისას ჰაერში გაცილებით ნაკლები მავნე ნივთიერება გამოფრქვევა ვიდრე ბენზინის წვისას. აღნიშნავენ იმასაც, რომ ესკრემენტები, რომელსაც წელიწადში ხუთსულიანი ოჯახი გამოყოფს, ამ ეკოლოგიური ავტობუსის 200 კილომეტრის გავლას უზრუნველყოფს. ახალი „ფეკალური ავტობუსი“, რომელშიც მგზავრებისთვის 40 ადგილია განკუთვნილი, ბრისტოლის აეროპორტსა და ქალაქ ბატს შორის მოძრაობს. ერთი თვის განმავლობაში ამ ეკოლოგიურ მანქანას 10 ათასი ადამიანის გადაყვანა შეუძლია.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.